№ 2651
სამშაბათი,
26 ოქტომბერი

# ცნობის ფურცელი

№ 2651.
სამშაბათი,
26 ოქტომბერი

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 373.

**ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.**
ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად
**ახალი მოძღვრება**
დრამა 4 მოქ. 7 სურ., ბარეტისა, თარგ. კანდელაკის მიერ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ან. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნატ. მესხი, ნ. ჩხეიძე, ნ. ჯავახიშვილი, ნებიერიძე; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, გედევანოვი, ივანიძე, იმედაშვილი, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი. ზალიკაშვილი, სარჯველაძე, მატარაძე, იორდანაშვილი და სხვანი.
მორიგი რეჟისორი ი. მესხი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. **დირექცია ამხანაგობისა**
მზადდება წარმოსადგენად: „იულიოს კეისარი“, „ღალატი“ და სხვ. (8—2)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
სამშაბათს, 26 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „კ ა რ მ ე ნ ი“ ოპერა 4 მოქ., მუს. ბიზესი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია-ეიხენვალდ, ნიკიტსკაია, პეტროვა-ზვანცევა, ხარიტონოვა; ბ-ნნი: დონსკოი, კომაროვი, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
27 ოქტ.—„ქართული წარმოდგენა. წარმოდგენ. იქმნება დრამ. „ახალი მოძღვრება“. გამგე ი. ა. კელლერი.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
**კერძო სამკურნალო**
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
**ა. ი. ბაღარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
**მ. ტ. მუღდინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
**ლ. ი. ქამოიძე.**—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
**ლ. ი. ქიმონტი.**—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
**ი. ნ. დიასამიძე.**—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
**მძ. ქალი ზ. ქ. იოხიდიანი.**—ქალისა და საბებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
**ვ. ა. ბიციძე.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
**დ. მ. მონინი.**—ქალისა, საბებით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.
**ვ. ხ. მუსხელიშვილი.**—თვალისა 2—3 საათ. ყოველდღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
**ბრ. მ. ხოზოლიშვილი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 2-3 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
**მ. მ. ხოზოლიშვილი.**—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
**ტ. ხ. დავიდოვი.**—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში ა შერალიები მიიღებათ. კრავატები დღეში დღის [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ეკ. იდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 2. [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б. ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
**ივანე პ. ახალშენიშვილი**
**გადავიდა:** ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

**ქუთაისში, ე ქ ი მ ი**
**მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი**
მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—6—29)

მ კ უ რ ნ ა ლ ი
**მიხეილ გედევანიშვილი**
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყურანთების ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ე ქ ი მ ი
**კ. ნ. თ ე თ რ ა ძ ე**
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. სუდებნაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—19)

ე ქ ი მ ი
**ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე**
იღებს სიფილისით და ვენერიული სნით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—10)

კბილის ექიმი
**ელ. რ ო მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი**
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათმდე. (თვ.—5.—20)

ე ქ ი მ ი
**მ. ი. ტერ-გრიგორიანცი**
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვებს. ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—296—21)

**ცინკოგრაფია**
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობ. ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

## რუსეთ-იაპონიის ომი

### დ ე პ ე შ ე ბ ი

**„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“**

**24 ოქტომბერი**

**მუკდენი, 24** ოქტომბერი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). ჩვენი რაზმი 21 ოქტომბერს ღამეს ჩაუსაფრდა იაპონელებს სოფელ ხუანლინხანთან, შტიკებით მივიდა იმათ ნახევარ როტაზე და 15 კაცი მოუკლა და დაუჭრა. შემდეგ, როდესაც იაპონელებს ახალი ჯარი მიეშველა, ჩვენებმა უკან დაიხიეს. რაზმს ოთხი კაცი დაუჭრეს. 22 ოქტომბერს ჩვენმა რაზმმა განდევნა ის იაპონელები, რომელთაც თხრილი გაჰყავდათ. ჩვენ ორი კაცი დაგვიჭრეს. იაპონელები მხნედ უშენდნენ ყუმბარებს ჩვენ რედუტს სოფელ შალაძის წინ. ჩვენმა ბატარეიამ ცეცხლი წაუკიდა სოფელ იუულძის. იაპონელებმა უკან დაიწიეს, მაგრამ ჩვენები მაინც ესროდნენ. ჩვენი ბატარეები ყუმბარებს უშენდნენ აგრეთვე თხრილებსა და სოფელ ლინშინპუს.

**დმიტროვი, 24** ოქტომბერი. მოვიდა ავადმყოფთა ტრანსპორტი. სულ ტრანსპორტში 10 კაცია. რვა სალდათი დააწვინეს განსაკუთრებულ საავადმყოფოში.

**ბლაგოვეშჩენსკი, 24** ოქტომბერი. ვაჭრები ძალიან აღიდებენ უსაჭიროეს სურსათის ფასს. ამის გამო მიღებულ იქნა სასტიკი ზომები. სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით, ერთი ვაჭარი დაპატიმრებულ იქნა პოლიციასთან. ხაზინამ სესხად მისცა ქალაქს 60,000 მანეთი ხორცის ოპერაციებისთვის. ეს საქმე იკისრა საქონლის ჩოდრების ამხანაგობამ, რომელმაც ხორცი უნდა გაჰყიდოს 19—23 კაპ.

**ხაბაროვსკი, 23** ოქტომბერი. მომქმედ ჯარში წავიდა გენერალი ლინევიჩი. ლინევიჩი მთავარ-სარდალმა დაიბარა. პეკინის გმირი გულწრფელად გააცილეს აქაურებმა. წარმოსთქვეს სიტყვები. მოხუცებულობის მიუხედავად გენერალი სიცოცხლითა და მხნეობით არის აღსავსე.

**ორიოლი, 24** ოქტომბერი. წითელ ჯვრის ელეცის ქალთა კომიტეტმა ათასზე მეტი ბამბაზიის პერანგი დაამზადა ნეჟინის დრაგუნის პოლკის სალდათებისათვის, ას საწოლისათვის საცვალი დაამზადა და კიდევ 50 საწოლისათვის ამზადებს. კომიტეტმა დაადგინა, ვსთხოვოთ კლუბის მმართველობასა და ბირჟის კომიტეტს, რომ სათამაშო ქაღალდსა და ბირჟის საქმეებს ცოტა გადასახადი დაადონ წითელ ჯვრის სასარგებლოდაო.

**„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“**

**25 ოქტომბერი**

**ტოკიო, 24** ოქტომბერი. გუშინ რუსებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ფორტ ერლუნგშანზე; უნდოდათ იაპონელების მოქმედებისათვის ხელი შეეშალათ, მაგრამ იაპონელებმა ყველა იერიში მოიგერიეს.

**ლონდონი, 24** ოქტომბერი. იაპონიის აქაური საელჩო ოფიციალურად ამოწმებს ტოკიოელ კორესპონდენტების კერძო ცნობას, რომ იაპონელებმა ზარბაზნის სროლის დროს დიდის ყალიბის ზარბაზნებით ძლიერ დააზიანეს პორტ-არტურის ფორტი № 4.

**ხარბინი, 24** ოქტომბერი. დღეს ხარბინში სამხედრო პატივით დაასაფლავეს მოკლული კომისარი ხეილუძანის პროვინციისა პოდპოლკოვნიკი ბოგდანოვი. ჩრდილოეთ კორეაში მცხოვრებნი ამბობენ, იქ რაღაცა მოძრაობა დაიწყო, ქტუობა, იაპონელების გავლენითაო. მრავალი ხალხი შუაგულ კორეისაკენ მიდის. ამბობენ, ეს ხალხი ტონბოს საზოგადოების მიმდევარნი არიან, ხალხის განათლება აქვთ აზრად და სეულისაკენ მიდიანო.

**ტუნისი, 24** ოქტომბერი. სამი რუსის ნაღმიანი გემი ბიზერტაში მოვიდა და 75 ტონნა ქვა-ნახშირს წაიღებს.

**ბერლინი, 24** ოქტომბერი. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ი იუწყება: უკანასკნელ ბრძოლის დროს იაპონელების უმთავრესი იერიში აღმოსავლეთ ფორტებზე რუსებმა მოიგერიეს; ერლუნგშანი და კუკვაიშანი რუსების ხელში დარჩა; იაპონელებმა რამდენიმე პოზიცია დაიჭირეს.

**ლონდონი, 24** ოქტომბერი („რეიტერის სააგ.“). იაპონიის საელჩომ გენ. ნოგის დეპეშა გამოაცხადა: „მარჯვენა კოლონამ (რაზმმა) და შუა კოლონის ნაწილმა შუნშუშანისა, ერლუნგშანისა და ტუნძიგუანშანის ჩრდილოეთით მდებარე ფორტების წინ სიმაგრეები აიღეს; შუა კოლონის მეორე ნაწილმა, თუმცა რუსები საშინლად უშენდნენ ყუმბარას, მაინც აიღო ფორტი № II, მაგრამ რუსებმა რამდენჯერმე მოიტანეს იერიში და ჩვენ იძულებულნი ვიყავით, ეს ფორტი მიგვეტოვებინა. გენერალმა ჩინოლემ ხელ-ახლად დაიჭირა ეს ფორტი და სამი საველე ზარბაზანი, ორი ტყვის მტყორცნელი და სხვა იარაღი ჩაიგდო ხელში. იმავე დღეს მარცხენა კოლონამ ტუნციგუანშანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე ფორტი კობიამა აიღო. 18 ოქტომბერს იაპონელებმა პორტ-არტურის ყურეს მიიტანეს იერიში, ჯერ დიდის ყალიბისა და საზღვაო ზარბაზნები დაუშინეს. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ძლიერი აფეთქების ხმა ისმოდა. 21 ოქტომბერს იაპონელებმა საშინლად დაუშინეს ზარბაზანი ყურესა და სხვა ადგილებს ნავთ-სადგურის აღმოსავლეთით. ამ ადგილებში ნაშუადღევის 12 ს. და 15 წ. ცეცხლი გაჩნდა და დილის 4 საათამდე არ ჩაქრალა.

**ხუნცი,** („რეიტერი“). ინგლისის კრეისერი „გერმიონა“ მოვიდა აქა, არხი გაიარა და რუსის ფლოტს ელის.

**მინსკი.** ფონდი დააარსეს შორეულ აღმოსავლეთში მოკლულ მინსკის მცხოვრებ მეომრების ოჯახებისა, ქვრივებისა და ობლების დასახმარებლად.

**ბალტა.** საგუბერნიო ერობამ საკმაოდ დიდი ფული გადასდო ბალტის მაზრიდან საომრად გაგზავნილ სათადარიგო ჯარისკაცების ოჯახთა დასახმარებლად.

დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსის კორესპონდენტის დღიური.** გაზ. „ნოვოსტი დნია“-ში ცნობილ რუსის მწერლის ბ-ნ გარინის დღიურია დაბეჭდილი:

„1—3 სექტემბერი. მუკდენი. სრული სიჩუმეა.

ორი ავადმყოფი მოიყვანეს; იანტაის ახლო გაოლიანში ეპოვათ. ერთი დაჭრილია, მეორეს—კუჭი აქვს მოშლილი. ორივენი ცხრა დღეს ცალ-ცალკე წოლილიყვნენ გაოლიანში, უჭმელად, უსმელად. კუჭ-მოშლილი აღარ მორჩება, დაჭრილი-კი რჩება, ლაპარაკი დაიწყო.

ლიაოიანიდან ერთი ექიმი დაბრუნდა. იაპონელებს დაეტყვევებინათ. გენ. ოკუს თურმე კარგად მიეღო, კოშკს ახლო ბაღში წაეყვანა, მეორე დღეს-კი ეთქვა, ან ჩვენთან დარჩით ტყვედ, ან რუსის ჯარში დაბრუნდითო. ექიმი ამბობს, იაპონელებმა ორიოდე დღეში საკვირვლად გაასუფთავეს ლიაოიანი, ქუჩები გაასწორეს, ქვა და ქვიშა დააყარეს, ერთის სიტყვით ლიაოიანი წუმპე-კი აღარაა, ნამდვილ ქალაქად იქცაო.

„ვესტნიკ მანჯურსკოი არმიი“-ს უკანასკნელი ნომერი გამოვიდა. ამ ნომერში სამწუხარო ამბები სწერია. პორტ-არტურში უბოლოო წამალი აღარა ჰქონიათ. რაკი საქმე ასეა, რაღა თქმა უნდა, ციხე დიდხანს ვეღარ გაუმაგრდება მტერსა. აკი დღეს ტოკიოდან მიღებული დეპეშაც ამბობს: იაპონელები ღირსეულად აფასებენ პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარის მამაცობას, მაგრამ არ ესმით, გენ. სტესელი რისთვის-ღა ეწევა უსარგებლო წინააღმდეგობასაო. ნეტა რა მოუვა რუსის ფლოტს, თუ ციხე აიღეს იაპონელებმა?

მეორე დეპეშა ტოკიოდან უფრო მეტ დარდსაც უშლის კაცსა. ამ დეპეშაში გადაჭრითაა ნათქვამი: საბოლოოდ გამოირკვა, რომ რუსები ხმელეთზე ვერც მთაში გაუმაგრდებიან იაპონელებს, ვერც ვაკეშიო. ვითომ მართალი იყვეს ესა? ნეტავ რას უფრო მეტი ფასი აქვს, ჯარის რიცხვსა, თუ ღირსებას? ეს მეტად მძიმე, სატანჯავი საკითხია, ეგაა პასუხს ვერავისაგან ეღირსები. ყველა თავისას გაიძახის. ნამდვილი მხოლოდ ისაა, რომ ჩვენ სწორედ არა ვიცით-რა... რასაკვირველია, 50 მილიონ ხალხს (იაპონელებს) მხნეს, მეომარს, თოფის მსროლელს დიდის ჯარის გამოყვანა შეუძლიან, მით უმეტეს რომ ამ ხალხს საკუთარი თოფისა, ზარბაზნისა, ყუმბარისა და ფოლადის ქარხნები აქვს. ამიტომ ბევრს სჯერა, რომ იაპონელებს 700—800 ათასი ჯარის-კაცი ჰყავთ, სჯერათ მარშალ ოიამას სიტყვაც. მილიონ ნახევარსა და ორ მილიონ ჯარის-კაცს გამოვიყვანო.

ამას გარდა, ყველაფრიდან სჩანს, რომ რუსეთს მთელი იაპონია ეომება. ყველას თითქო ბრძოლა სწყურიან. ვინ იცის, იქნება იაპონიას მართლა ძლიერ უჭირდეს მიწამამული?

ასეა თუ ისე, დიდი ოპტიმისტი უნდა იყოს კაცი, რომ დაიჯეროს, ვითომ იაპონელებს 200—300 ათასის და თუ გაჭირდა 400 ათასის სალდათის გამოყვანა ძლივს შეეძლოთ.

მით მაინც ბევრი რუსი ეხლაც რიხიანად გაიძახის:

— რასა ბძანებთ, საიდან ეყოლებათ მაგდენი ჯარი? განა უბრალო ხალხის გროვაც ჯარობას გასწევს!

რუსებმა 15 წლის იაპონელები დაატყვევეს; ორის-სამის თვის წინად ამ ბალღებმა არაფერი არ იცოდნენ სამხედრო საქმისა, ეხლა-კი ეს ბავშვები ნამდვილი ჯარის-კაცები არიან.

ნაპოლეონიც ასეთ ყმაწვილებსა ჰკრებდა და ორ თვეში მთელ არმიებს შეადგენდა ხოლმე. მერე როგორ არმიას? გამარჯვებულს, ერთის აზრით, ერთის იდეით გატაცებულს და აღფრთოვანებულს. ეს გატაცება და აღფრთოვანებაა რაცაა; ეგაა ეს უბრალო აზრი ვერ გაუგიათ სამხედრო ხელოვნების გარეგნობის ფორმის უსულო და უაზრო თაყვანის მცემლებს. თავის დროზე გაიგებენ, რასაკვირველია, და ჩვეულებრივის რიხით დაიყვირებენ:

—რასა ბძანებთ, ეგ ვის არ ესმოდა, მაგას რა დიდი გაგება უნდოდაო?

ეს ვაჟბატონები პრობკებივით ყოველთვის წყალზემოდ მოიტივტივებენ ხოლმე... ასე თუ ისე, ჯერ ორიოდე დღე ხმა დადიოდა, რუსის ჯარი იერიშის მიტანას აპირობს იაპონელებზეო, ეხლა-კი ისევ ხმა გავარდა, იაპონელები დაიძრნენ და იქნება მალე მუკდენი დავცალოთ და ჩრდილოეთისაკენ დავიხიოთო.

მუკდენში სამას ათასამდე სული სცხოვრობს. აქ დიდი ჯარი დაბინავდება საზამთროდ. თუ მუკდენი მიატოვეს, მაშინ რუსებს ჯარის დაბინავება მხოლოდ რკინის გზის სადგურებსა და შენობებში მოუხდებათ. ყველაზე დიდი სადგური ხარბინია, და იქ თუმცა ათასობითაა პატარ-პატარა სახლები, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ ქოხები, მაგრამ ამ სახლებში უმთავრესი დაწესებულებანიც ძლივს მოთავსდებიან.

მართალია რუსები მეტად მხნედ აშენებენ კაზარმებს ჯარისათვის, მაინც მეტად დიდი საქმე იქნება, თუ 300—400 ათას კაცისათვის სამყოფ კაზარმების აშენებას მოასწრობენ.

ოპტიმისტები ამბობენ, რა დროს ზამთარზე ლაპარაკია, ზამთრამდე ლიაოიანსაც ავიღებთ, პორტ-არტურსაც და იქნება კორეიაც დავიჭიროთო. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენი ბალტიის ფლოტი მოდისო.

აქ ისევ ძველი საბუთები მოჰყავთ და თითქო თითონვე ანუგეშებენ თავიანთ თავსა: ზამთარი—ჩვენი (რუსების) მოკავშირეა, იაპონელები სიცივეს ვერ იტანენო და სხვადა სხვა.

— იაპონელები ვერ იტანენ სიცივეს?— ირონიულად ბუტბუტებენ იჯარადრები.— მთელი ზამთარი მარტო იაპონელ კალატოზებს ვამუშავებდი, საყელოს აიწევს, ხელებს გაღვივებულ ნახშირზე მოითბობს და გინდ ოცი გრადუსი სიცივე იყოს, მთელი დღე დაუღალავად მუშაობს.

ყოველ დღე ბევრს ლაპარაკობენ ომის საქმეზე, ხანდახან ისე შორს წავლენ ხოლმე, რომ ზოგიერთი, მაგალითად, ეხლავე წინასწარმეტყველებს, თუ იაპონელები ვლადივოსტოკს ალყას შემოარტამენ, იქნება ყინულზე წამოვიდნენ და რუსის გემებს დაეცნენო.

ოპტიმისტების აზრი პესიმისტებსა სწყინთ, პესიმისტების აზრი ოპტიმისტებს. აქ თითქმის ორი პარტია არსებობს. რომელი პარტია უფრო ძლიერია, არ ვიცი, მაგრამ ისკი ნამდვილია, რომ ეხლა ოპტიმისტები, ცოტა არ იყოს, კაი გუნებაზე ვერ არიან“...

**რუსის ფლოტი.** რუსის ესკადრა 8 ოქტომბერს ჩრდილოეთ ზღვაში ინგლისელ მეთევზეებს დაეტაკა და ზარბაზანი დაუშინა. ამ ამბავმა მთელი ინგლისი აალელა და ფეხზე დააყენა. რუსულმა გაზეთებმა მაშინვე გძელი წერილები უძღვნეს ამ საქმეს. ზოგიერთი გაზეთი, მაგალითად „მოსკოვსკია ვედომოსტი“ სწერდა, ინგლისს მაგრა უნდა დავუხვდეთ და არაფერი არ დავუთმოთო. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველმა ბ-ნმა ვ. მ. სხვა თვალით შეხედა საქმეს. მ. ვ. სწერდა: „რუსის ფლოტის ინტერესი ბეჯითად მოითხოვს, რომ ინგლისთან საქმე მორიგებით გავათავოთ. ინგლისთან გადაკიდება შეიძლება მეტად სამწუხაროდ გათავდეს რუსის ფლოტისათვის. რუსეთს რომ ინგლისთან ომი მოუხდეს, ადმირალი როჟესტვენსკი ბალტიის ზღვაში ვეღარ დაბრუნდება და კრონშტადტის ფორტებს ვეღარ შეეფარება. ინგლისის ესკადრა ჩრდილოეთ ზღვაში ერთი ორად ძლიერია დიდ ოკეანის მეორე ესკადრაზე: ადმირალ ვილსონს ამ ჟამად 11 საესკადრო ჯავშნიანი გემი პირველ კლასისა და 9 დიდი კრეისერი ჰყავს; ეს ესკადრა ხელად გზას მოუჭრიდა რუსის ესკადრას და ბალტიის ზღვაში აღარ გაუშვებდა, მით უფრო რომ ადმ. ვილსონის ესკადრა უფრო სწრაფი მოსიარულეა და საათში 2 მილს მეტს გადის რუსის ესკადრაზე. რუსეთს რომ ინგლისთან ომი მოუხდეს, რუსის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთსაც ვეღარ წავა: იაპონიის ფლოტიც რომ არ იყოს, ინგლისს პორტ-არტურს ახლოც ადმ. როჟესტვენსკის ესკადრაზე უფრო ძლიერი ესკადრა უდგა: ადმირალ ნოელის ესკადრა ჩინეთის ზღვაში 6 საესკადრო ჯავშნიან გემისა და 4 ჯავშნიან კრეისერისაგან შესდგება. ცხადია, ინგლისთან რომ ომი მოგვიხდეს, ბალტიის ესკადრა ვეღარც ბალტიის ზღვაში დაბრუნდებოდა, ვერც დიდ ოკეანეში წავიდოდა ძალა-უნებურად უცხო ზღვებში უნდა ევლო უგზო-უკვლოდ და თავის სამშობლო ნავთ-სადგურებში მოსვლას ვერ მოახერხებდა. ატლანტის ოკეანეშიაც ადმ. როჟესტვენსკის ინგლისის ძლიერ ფლოტთან მოუხდებოდა ბრძოლა: იქ ინგლისს ორი ძლიერი ესკადრა უდგა ადმ. ბერესფორდისა და ადმ. ფაუკსისა: ამ ორ ესკადრას საერთოდ 8 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 8 ჯავშნიანი კრეისერი ჰყავთ. ამას გარდა ნუ დაგვავიწყდება, რომ ომის გამოცხადების შემდეგ, ხმელთა შუა ზღვის ესკადრაც სამოთხ დღეში გიბრალტართან შეიკრიბება: ინგლისს ხმელთა შუა ზღვაში ადმ. დომვილის უფროსობით 12 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 5 დიდი კრეისერი ჰყავს. დასასრულ, ინგლისის ურიცხვი კრეისერები ქვა-ნახშირის შოვნას გაუჭირვებდნენ რუსის ესკადრას.

მაინც ეხლა ცხადად დამტკიცდა, რომ რუსეთს საკმაოდ ძლიერი ფლოტი არა ჰყავს... 1882 წლიდან რუსეთი ყოველ წელს დიდ ფულსა ჰხარჯავს ფლოტზე, წელს 116 მილიონი მანეთია გადადებული ფლოტისათვის, განსაკუთრებულ ხარჯების გარდა. უკანასკნელ 25 წელიწადში ფლოტზე 1½ მილიარდ მანეთზე (1500 მილიონზე) მეტი დაიხარჯა,

მაგრამ თუ ვინიცობაა რუსეთს ევროპის სახელმწიფოებთან ომი მოუხდა, რუსის ფლოტს არც ნავთსადგურების დაცვა შეუძლიან, არც ზღვის ნაპირებისა. მე-80 წლებიდან რუსეთი მეტად ცდილობდა, რომ ბალტიის ზღვაში ყველა სახელმწიფოზე ძლიერი ფლოტი გაეჩინა, მუდამ ახალ გემებს აშენებდა და მართლაც პეტრე დიდის დროიდან მე-90 წლების ბოლომდე ბალტიის ზღვაში რუსის ფლოტი ბატონობდა. მაგრამ მერე რუსეთი დიდ ოკეანეში დიდ მსოფლიო საქმეებს მოეჰიდა და ბალტიის ფლოტი თითქმის სულ იქ გაგზავნა. მას აქეთ რაც კილის არხი აშენდა, ბალტიის ზღვის ბატონად გერმანიის ფლოტი გახდა. გერმანიას ეხლა 18 საესკადრო ჯავშნიანი გემი პირველ კლასისა ჰყავს და 13 კარგი სანაპირო (ნაპირების დამცველი) ჯავშნიანი გემი. სანამ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა შინ იყო, გერმანიის ფლოტის წინააღმდეგ რუსეთს მხოლოდ 9 საესკადრო ჯავშნიან გემისა და 4 ცოტად თუ ბევრად ფარსაგ სანაპირო გემის გაყვანა შეეძლო. ეხლა-კი, მას აქეთ, რაც ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთს წავიდა, რუსეთს ბალტიის ზღვაში სულ 2 საესკადრო და 4 სანაპირო ჯავშნიანი გემი და 3 დიდი კრეისერი, ანუ სულ 9 ცოტად თუ ბევრად თანამედროვე მებრძოლი გემი დარჩა. ესეთი მცირე ფლოტი არა თუ გერმანიის ფლოტს, მეორე ხარისხოვან სახელმწიფოების—შვეციისა და ნორვეგიის—ფლოტსაც ვერ გასცემდა პასუხს. შვეცია-ნორვეგიას 15 თითქმის სულ ერთნაირი პატარა ჯავშნიანი გემი ჰყავს. ეს გემები ყველაფრით თანამედროვე გემებია, საათში 16 მილს გადიან და საერთოდ 120 დიდი ($4^3/_4$—10 დიუიმის ყალიბისა) ზარბაზანი აქვთ, რუსეთს-კი ბალტიის ზღვაში, სულ ნაირ-ნაირი გემები დარჩა (9 გემიდან ორი ძლიერ ძველია, 1872 და 1882 წლისაა აშენებული); ეს გემები საათში $14^1/_2$ მილზე მეტს ვერ გადიან და სულ 91 მძიმე ზარბაზანი აქვთ.

ადრე რუსეთი უფრო ჯავშნიან კრეისერებს აშენებდა. რუსის სტრატეგებს იმედი ჰქონდათ, ამ კრეისერების შემწეობით ინგლისის საზღვაო ძლიერებას დავამხობთო. მაგრამ აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც ბალტიის ფლოტში აღარც ერთი კრეისერი არ დარჩა ამ საქმისათვის გამოსადეგი. „პამიატ აზოვა“ და „ნახიმოვი“ საათში 14—15 მილს ძლივს გადიან და ეხლანდელ სწრაფ კრეისერებთან ვერას გახდებიან; არა თუ ინგლისის კრეისერებს, სწრაფმოსიარულე ჯავშნიან გემებსაც ვერ წაუვლენ. კრეისერების სადევნელად მხოლოდ რუსის პალუბა-ჯავშნიანი კრეისერები „ოლეგი“, „ჟემჩუგი“ და „იზუმრუდი“ გამოდგებოდნენ, მაგრამ ესენიც დიდ ოკეანეში გაიგზავნენ. აქ უნდა დავუმატოთ, რომ ინგლისის სწრაფად-მავალი ჯავშნიანი კრეისერები „დრეკ“-ისა და „კენტ“-ის ტიპისა ადვილად აჯობებენ ჩვენებურ რუსის სამ კრეისერს, რადგან ამ კრეისერებს მხოლოდ პალუბაზე აკრავთ ჯავშანი.. ასე რომ რუსეთმა თავისი ფლოტი თითქმის სულ დიდ ოკეანეში გაგზავნა, უნდოდა იქაურ ზღვაში გაბატონებულიყო, მაგრამ ეხლანდელმა ომმა დაამტკიცა, რომ იქაც იაპონიის ფლოტი გაცილებით ძლიერი გამოდგა რუსისაზე.

დასასრულ, არა მგონია, რომ რუსეთს შავ ზღვაშიაც საკმაოდ ძლიერი ფლოტი ჰყავდეს. მე-80 წლებში შავის ზღვის ფლოტის აშენებას რომ შევუდექით, ჩვენ (რუსები) ვოცნებობდით, შავ ზღვაში აღარავის შევუშვებთო. მართლაც და ათის წლის წინად შავ ზღვაში შემოჭრას მარტო ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტი თუ გაბედავდა. ეხლა კი რუსის შავი-ზღვის ფლოტი არა თუ იტალიის ფლოტს, მგონია, ავსტრიის ფლოტსაც-კი ჩამორჩა. მაინც, ავსტრიას 10 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 5 დიდი კრეისერი ჰყავს, სულ ამ გემებს 166 დიდი ზარბაზანი აქვთ; რუსეთს-კი შავ-ზღვაში სულ 8 ჯავშნიანი გემი და 1 დიდი კრეისერი ჰყავს,—ამ გემებს 120 დიდი ზარბაზანი აქვთ. მართალია რუსის ჯავშნიანი გემები დიდებია ავსტრიისაზე, სამაგიეროდ რუსეთს შავ ზღვაში მარტო ერთი თანამედროვე ჯავშნიანი გემი („პოტემკინი“) ჰყავს, ავსტრიას-კი—4: „ერცჰერცოგ კარლი“ და 3 „ჰაბსბურგ“-ის ტიპისა. ამას გარდა, ავსტრიელებს მდ. დუნაიზეც ძლიერი ფლოტილია (6 მონიტორი) ჰყავთ, რუსებს-კი ერთი კანონიერი გემიც არა ჰყავთ, რომ დუნაიზე სიარული შეეძლოს. ავსტრიამ რომ კავშირი შეჰკრას ოსმალეთთან, შეიძლება რუსის ნავთ-სადგურებს შავ-ზღვაზე ცუდი დღე დაადგეს, საბედნიეროდ, ეხლა შიში არაა, რომ რუსეთს ევროპის სახელმწიფოებთან ომი მოუხდეს.. რუსეთი დიდ ფულს ჰხარჯავდა ფლოტზე და ცდილობდა, რომ ბალტიის ზღვასა, შავ-ზღვასა და დიდ ოკეანეში ყველგან ძლიერი ფლოტი ჰყოლოდა. ეხლა ცხადად სჩანს, რა შედეგი მოჰყვა ამ მეცადინეობას“.

## ახალი ამბავი

◆ ეს მეოთხე დღეა ავად არის ჩვენი მხცოვანი პოეტი აკაკი წერეთელი; ღამე 22 ოქტომბერს დამბლა მოუვიდა. ეხლა უკეთ არის და საშიში არაფერი მოელის. ექიმებს იმედი აქვთ, რომ მალე სრულიად განიკურნება.

◆ კვირას, 24 ოქტომბერს, აკურთხეს რუსეთის საიმპერატორო **სამუსიკო საზოგადოების ტფილისის განყოფილების** ახლად აგებული შენობა გრიბოედოვის ქუჩაზე. ახალ შენობის დარბაზი კოხტად იყო მორთული. კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო. სხვათა შორის, იყვნენ: საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი ფრეზე, საქართველოს ეგზარხოსი, სომეხ-გრიგორიანთა ეპისკოპოსი, გუბერნატორი, ქალაქის მოურავის მოადგილე, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და მრავალი სხვა. დარბაზის კურთხევის და პარაკლისის შემდეგ, სამუსიკო სასწავლებლის საპატიო წევრმა ბ-ნმა კ. მ. ალიხანოვმა მისალმების სიტყვით მიმართა დიდ-მთავარს და მერე წაიკითხა მოკლე ისტორია სამუსიკო საზოგადოებისა და სასწავლებლისა. ბ-ნმა ი. მ. ალიხანოვმა წაიკითხა ანგარიში იმ ფულისა, რომლითაც ახალი შენობა იქნა აგებული. როგორც ამ ანგარიშებიდან გამოირკვა, სასწავლებელს საკუთარ თანხიდან დაუხარჯავს 27,000 მანეთი და 58,000 მანეთიც ხელის მოწერით შემოსულა. სასწავლებელში დაარსების დროს სწავლობდა 159 მოსწავლე, ახლა-კი—350 მოსწავლე ყოფილა. შემდეგ წაიკითხეს ადრესები და სიტყვები. პირველი ადრესი იყო თვით ვიცე-პრეზიდენტის დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა, მეორე ადრესი წაიკითხა სამუსიკო სასწავლებლის დირექტორმა ნ. ნიკოლაევმა, მესამე—საარტისტო საზოგადოების წარმომადგენელმა ბ-ნმა ოპოჩინინმა. სომხურ დრამატიულ საზოგადოების მხრივ სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ხატისოვმა. დაესწრო აგრეთვე ქართულ დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელი, მაგრამ სიტყვა-კი არ წარმოუთქვამს. წაკითხულ იქნა აგრეთვე მისალოცი დეპეშები. ასეთი დეპეშა ორმოცამდე იყო. სხვათა შორის წაიკითხეს დეპეშები ცნობილ კომპოზიტორების და მემუსიკეების ნაპრავნიკისა, აუერისა, იპოლიტოვ-ივანოვისა, იგუმნოვისა, კლენოვსკისა და სხვებისა. ბოლოს სასწავლებლის მოწაფეთა მიერ შემდგარმა ხორომ და ორკესტრმა შეასრულა კანტატა (მუსიკა ნ. დ. ნიკოლაევისა, სიტყვები პ. ა. ოპოჩინინისა).

◆ მოგვყავს აქვე ზოგიერთი ცნობა ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიის ანგარიშიდან. ტფილისის ყოველ წლიური ბიუჯეტი მილიონ ნახევარ მანეთს უდრის და აქედან ქალაქი ხარჯავს მხოლოდ 100,000 მანეთს ისეთს საქმეზე, როგორიც არის **სახალხო სწავლა-განათლება**. ტფილისში, როგორც მკითხველებმა იციან, 200 ათასამდე მცხოვრებია. ამოდენა ქალაქისთვის თვით-მართველობას აქვს მხოლოდ 18 პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ამ სკოლებს, რა თქმა უნდა, არ ძალუძთ დააკმაყოფილონ მთხოვნელთა ნახევარიც-კი. ამა სამოსწავლო წლის დამდეგს ქალაქის სკოლებში შესვლის სურვილი განაცხადა 1797 ბავშვმა. აქედან მიიღეს 798, უარი გამოუცხადეს 999 ბავშვს. მთხოვნელთა და მიღებულთა რიცხვი ეროვნებით ასე განიყოფება: რუსი—მთხოვნელი იყო 541, მიიღეს 312, ქართველი—მთხოვნელი იყო 549, მიიღეს 217, სომეხი—მთხოვნელი იყო 662, მიიღეს 245, სხვა ეროვნებისა მთხოვნელი იყო 45, მიიღეს 24. პირველ ოქტომბრისათვის სასწავლებლებში იყო 2130 ბავშვი, 1414 ვაჟი და 716 ქალი. კომისიის ვარაუდით, თითოეულს სკოლაში 150 მოსწავლე უნდა სწავლობდეს; ნამდვილად-კი 420 მოსწავლით ნაკლები სწავლობს. მიზეზი ამისა ის არის, რომ პირველ განყოფილებებში უადგილობისა გამო ვერ მიიღეს ბავშვები, ხოლო მეორე და მესამე განყოფილებაში თუმცა ვაკანსია იყო, მაგრამ მთხოვნელი არავინ აღმოჩნდა.

◆ ტფილისის საგუბერნიო საპატიმროსა და მის განყოფილებაში 24 ოქტომბრისათვის იყო 630 პატიმარი.

◆ როგორც შულავერიდან გვატყობინებენ, 21 ოქტომბერს სოფ. დაგეტთან ბარმაკსიზის და დარაკევის ბინების სამრობო დარაჯებს შეტაკება მოსვლიათ **ყაჩაღთა ბრბოსთან**, რომელიც თერთმეტის კაცისაგან შესდგებოდა. რამდენიმე კაცი დაჭრილია.

◆ მომავალი წლის აპრილში ტფილისში მოხდება **კავკასიელ მკურნალთა მესამე კრება**. პროგრამა 16 განყოფილებისაგან შესდგება და შეიცავს სამეცნიერო და პრაქტიკულ მკურნალობას, ჰიგიენას და სხვას. კრებაზე დამსწრეთათვის საწევრო გადასახადი 5 მანეთი იქნება.

◆ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა, ნება დართოს გორისა და დუშეთის მაზრის იმ სოფლების მცხოვრებთ, სადაც **ფილოქსერა გაჩნდა**, გადმოიტანონ გასაშენებლად ქუთაისის გუბერნიის სანერგეებიდან ამერიკული ვაზი.

◆ 20-22 ოქტომბერს ბაქოში **ხოლერით ავად გამხდარა** ოთხი კაცი და მომკვდარა ორი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას მოუვიდა მეოთხე **სახელმწიფო სესხის მოპარულ ას-მანეთიან ობლიგაციის კუპონი № 303**, გამომგზავნი სწერს, ამ კუპონით 25 მან. მერგებაო. კუპონი გამგეობას მოსვლია ტამბოვის გუბერნიის სოფელ სპასკიდან, ვიღაც იაკობ მეჟრომცევისაგან. გამგეობამ კუპონი გადასცა გამომძიებელს.

◆ ამას წინად, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ა. ი. შამხაროვმა ქალაქ **ტფილისს უანდერძა ფოთში**, დიდს ძუნძულზე მდებარე, ორი ნაჭერი მიწა. ამის გამო ტფ. ქალაქის გამგეობა შეეკითხა ფოთისას. გუშინ ფოთის ქალაქის მოურავმა აცნობა გამგეობას, რომ შამხაროვის მიწები კარგა ხანია ქალაქ ფოთის საკუთრებად შეირიცხა, უკვე დაიყო ნაჭრებად და დაურიგდა მოიჯარადრეებს სახლების ასაშენებლადაო.

◆ ტფილისის **მოქალაქეთა საზოგადოება** მეტად დავალიანებულია. ვალები რომ სრულიად გადაიხადოს საზოგადოებამ, საჭიროა მოქალაქეებს 97,600 მანეთი გაეწეროს.

◆ ამას წინად ვაცნობეთ მკითხველებს ტფ. საბჭოს ხმოსნის მელიქ-ყარაგოზოვის განცხადება ტრამვაის მეოხებით ქუჩების მორწყვის შესახებ. ქალაქის ინჟინერმა გუშინ თავისი მოხსენება წარუდგინა გამგეობას ამ საქმის შესახებ. ინჟინერის აზრით, უსათუოდ საზოგადოება არ იკისრებს ამ საქმეს, რადგან ზარალი მოუვა, და ტრამვაისაც წესიერ მიმოსვლას დაუშლისო.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „თრიობოლი“,—ი. ევდოშვილისა, გამოც. გრიშვინიშვილის მიერ, ფასი ერთი შაური.

◆ როგორც ახალციხიდან გვატყობინებენ, სოფ. თამალაში საქონლის ჭირი გაჩენილა.

◆ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ განიხილა მოხსენება ა. ს. ბაბოვის მოსწავლეთა ჯანმრთელობის შემოწმების შესახებ წელიწადში ორჯელ სწავლის დაწყებისა და ეგზამენების დასრულების შემდეგ. კომისიამ მიიღო ბაბოვის მოხსენება და დაადგინა, გადასცეს იგი სასანიტარო კომისიას თავის აზრის გამოსათქმელად.

◆ როგორც პირიქით ხევსურეთიდან გვატყობინებენ, გუროელ-შატილელთა გამწვავებული დამოკიდებულება არა სცხრება. ამ დღეებშიც გუროელები ჩასაფრებიან ტყეში შატილელ ხევსურს, გვარად ჭინჭარაულს, და თოფებით მოუკლავთ.

◆ კავკასიის ტექნიკო საზოგადოების თავმჯდომარემ ინჟ. ნოვომეისკიმ აცნობა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას მუხრანსკის ხიდის საკონკურსო პროექტების განხილვის საქმეშიო.

◆ „ტილი-პუტურის“ სასტუმროს მზარეულმა სერგო ჯაფარიძემ გამოუცხადა პოლიციის მეოთხე ნაწილის ბოქაულს, რომ ამას წინად 35 მანეთის ნივთები დავკარგე და რადგან ჩემი ჩოხა ნიკოლოზ იმნაძეს აღმოაჩნდა, შესაძლებელია იმან იცოდეს, ვინ არიან ქურდებიო. გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩოხა იმნაძეს უყიდნია სერგო ჩალაძისაგან, ხოლო ამ უკანასკნელისათვის მიუყიდნიათ ქურდებს სერგო არუთინოვს, სიმონ პეტრუზოვს და მილას პაიზოვს. სამივე ქურდი პ-სუხის გებაში მისცეს.

◆ პოლიცმეისტერმა აცნობა გუშინ ტფილისის ქალაქის საამშენებლო განყოფილებას, რომ ზოგიერთი მოიჯარადრე ძალიან ცუდად კირწლავს ქუჩებსაო. პავლოვის ქუჩის მოკირწყლელი მოიჯარადრე, მაგალითად, ჰყრის რიყის ქვიშას ნაცვლად უბრალო ტალახს, რაც ალაგ-ალაგ ნიაღვრისაგან ირეცხება და ქუჩა ისევ ისე ინგრევა. ზოგან-კი ისეთი ტალახი დგება, რომ გავლა წვიმის დროს შეუძლებელიაო. პოლიცმეისტერი სთხოვს განყოფილებას, საჭირო ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს.

◆ კვირას, 24 ოქტომბერს, იარმუკაზე უბიდან ფული (12 მან.) ამოაცალეს სოფ. ბარისახოს ხევსურს გოგოთურ ჭინჭარაულს. ჭინჭარაულმა მიიტანა იმ ბაყალთ, რომელსაც ძალად მიჰ მახალი, და როცა ფულს უსწორდებოდა, ხელი ჰკრა და მეორე ამხანაგს რაღაც ჩადასცა. წამს ხევსურმა პოლიციელს დაუძახა და უთხრა, ფული ამათ ამომაცალესო და პოლიციაში წაიყვანა ერთი მათგანი. პოლიციამ საქმე პირველ ნა ლის სასამართლოს გადასცა.

## პრესსა

ჩვენის „კოსმოპოლიტების“ საყურადღებოდ მოგვყავს რუსულ გაზეთ „რუს“-იდან შეძ-

# ფელეტონი

## იაპონელი მეცნიერები და უნივერსიტეტები

წერილი კიოტოს უნივერსიტეტის პროფესორის ნივასი (ფრანგულ „La Revue“-ში დაბეჭდილი ოქტომბერს, 1904 წ.).

კიოტოს*) უნივერსიტეტის პროფესორმა ნივამ ძლიერ საყურადღებო წერილი დაბეჭდა ფრანგულ ჟურნალს „La Revue“-ში იაპონელ მეცნიერებისა და უნივერსიტეტების შესახებ. საყურადღებოა ეს წერილი უფრო იმით, რომ ნათლად გვიხატავს მეცნიერების განვითარებას იაპონიაში. მეცნიერებამ საზღვარი არ იცის, არც რასას აქცევს ყურადღებას, იგი იქ იდებს ბინას, სადაც ადამიანის შრომა, ცოდნა და თავისუფლება ხელს უწყობს, სადაც თავის განსავითარებლად საუკეთესო პირობებს პოულობს.

იაპონელი ავტორი ამბობს, სამართლიანი არ არის ფრანგულ პრესსის საყვედური იაპონელ პროფესორებისა და სტუდენტების მიმართ, ვითომ ეს უკანასკნელნი ძლიერ ამპარტავნები იყვნენო. ამპარტავნობა ევროპიელ პროფესორთა და სტუდენტთა შორისაც ხშირია და იაპონელი რად უნდა იყოს მარტო ამ ცოდვის მზიდავი. მართალიც რომ იყოს ეს ცილის წამება, დიდს არას მოასწავებს, რადგან მიზეზი მისი იაპონიის მსწრაფლი განვითარებაა; დრო განკურნავს ამ ზნეობრივ სენს, და იაპონიის ხალხს შერჩება ამპარტავნობის მაგივრად შეგნება თავის საკუთარ ძალისა,—ეს აუცილებლად საჭირო თვისება საკუთარის ძალით თავისის თავის გაძღოლისათვის.

ამ ოცდა-ათის წლის წინად იაპონიაში ევროპის მეცნიერების ან-ბანიც არ იცოდნენ. იაპონელი ახალგაზრდები ამ მოკლე დროის განმავლობაში მოიფინენ მთელ ქვეყანას და სამშობლოში შეიტანეს მეცნიერება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ნაყოფები მეცნიერებისა. ეხლა კი, როდესაც, ამდენის შრომის შემდეგ, იაპონიამ გამოაჩინა ნიჭი სწავლა-ცოდნისა და მეცნიერების შექმნისა, რა სამარცხვინოა, რომ მოისურვოს თავისავე ქვეყანაში იყოლიოს თავისივე მეცნიერები. ყოველივე ერისათვის საჭიროა თვითვე გაუძღვეს თავის თავს მატერიალურად და გონებრივად.

დღეს იაპონიასა ჰყავს საკუთარი ინჟინრები, იურისტები, ბუნების მეტყველები, ექიმები, მაგრამ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ევროპა იაპონიას აღარაფერში აღარა სჭირდება. პირიქით, რაც უნდა განვითარდეს ერი, მას ყოველთვის დასჭირდება მეორე ერი. იაპონელებს სურთ მხოლოდ, თავის ქვეყანაშივე მიიღონ საჭირო ცოდნა და მეცნიერება, და ამ მხრივ მათ არც ერთი პედაგოგი არ დასძრახავს.

შეიძლება იაპონელი პროფესორები უცხოელ პროფესორებზე ნიჭით დაბლა სდგანან, იმ უცხოელ პროფესორებზე, რომელთაც უწინ იწვევდნენ იაპონიაში, მაგრამ იაპონიაში იაპონელი პროფესორები აუცილებლად საჭირონი არიან, რადგან იმათ იაპონურ ენაზე შეუძლიათ ლექციების კითხვა და თავიანთ აუდიტორიის ხასიათიც კარგა იციან. იაპონელები სრულიადაც არა ჰფიქრობენ, მთლად დაანებონ თავი უცხოელ პროფესორების მოწვევას, რადგან არის იმისთანა საგნები, რომელთა სასწავლებლადაც სწორედ უცხოელი პროფესორებია საჭირო: მაგალითად, უცხოელი ენები და უცხოელი იურისპრუდენცია. ამ მხრივ ევროპაც რომ იაპონიას წაჰბაძავდეს, ცოტა რამეს მოიგებს. მართალია, მას შემდეგ, რაც იაპონელმა პროფესორებმა დაიჭირეს უცხოელ პროფესორების ადგილი, იაპონელ სტუდენტს უფრო გაუძნელდა უცხო ენაზე ლექციების სმენა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ინგლისური, გერმანული და ფრანგული იაპონელმა სტუდენტმა ევროპის სტუდენტზე ნაკლებ არ იცის.

ერთხელ ევროპიელებს ეგონათ, და შეიძლება ახლაც ჰგონიათ, რომ აღმოსავლეთის ხალხს არ არ შეუძლიან მათემატიკის საფუძვლიანად შესწავლაო. ეს დიდი შეცდომაა. მათემატიკას იაპონიაში 1868 წლის რესტორაციის წინადაც სწავლობდნენ. ჩინელებმა და იაპონელებმა ძველის ძველი დროიდანვე იცოდნენ ელიპსი და პარაბოლა და მათი თვისებანი, თუმცა, ჰიპერბოლა მათ არ სცოდნიათ. 1868 წლის შემდეგ იაპონელები შეუდგნენ მათემატიკის ვრცლად შესწავლას და ეხლა იქ გამოჩენილი მათემატიკოსებიც მოიპოვებიან. პროფესორი ფუჯისავა სწავლობდა გერმანიაში კრონეკერისა და ვეიერშტრასსის ხელმძღვანელობით სწავლის დამთავრების შემდეგ ფუჯისავამ ტოკიოს უნივერსიტეტში მათემატიკის კათედრა დაიჭირა. მან დასწერა თხზულება ელიპტიურს (ფუნქციათა) გამრავლების თეორემაზე. 1900 წელს იგი იაპონიის წარმომადგენლად იყო მათემატიკოსთა კონგრესზე პარიზში, სადაც წაიკითხა მოხსენება იაპონიის ძველ მათემატიკის შესახებ.

ნაგაოკა გამოჩენილი ფიზიკოსია იაპონიაში. მან სპეციალურად შეისწავლა მაგნეტოსტრიკცია. მეცნიერებამ ღირსეულად დააფასა იმისი შრომა. პარიზის გამოფენის დროს იგი მიიწვიეს ლექციის წასაკითხავად ფიზიკოსთა კონგრესისტების წინაშე. საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა ამ ლექციით. მოსალოდნელი იყო, რომ სისმოლოგია ძლიერ განვითარდებოდა იაპონიაში, რადგან მიწის ძვრა იქ ჩვეულებრივი მოვლენაა. ორმა ინგლისელმა, მილნმა და იუინგმა, დაიწყო პირველად სისმოლოგიური კვლევანი იაპონიაში, მაგრამ მალე დაანებეს თავი, რადგან მთავრობამ ისინი სამშობლოში მიიხმო. ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორმა სეკიამ განაგრძო მათი შრომა. სეკიამ მოიგონა განსაკუთრებული აპპარატები სისმიურ მოვლენათა აღსაბეჭდად და პირველმა დაინახა ქვეყანამ თვალით სისმიურ რყევათა გრაფიული გამოხატულება. სეკია უდროოდ გადაიცვალა. იმისი სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო მეცნიერებისათვის. მაგრამ პროფესორმა ომორიმ განაგრძო მისი შრომა, გააუმჯობესა იმის მიერ გამოგონილი აპპარატები და ისეთ სისრულემდე მიიყვანა, რომ სისმოლოგიურ კონგრესებზე ქვეყანას აკვირვებდა. დიდი სახელი მოიხვეჭა ომორიმ მეცნიერებაში.

ქიმიაშიაც საკმაოდ გაიმარჯვეს იაპონელებმა. ტოკიოს პროფესორმა იოშიდამ სერიოზული თხზულება დასწერა ლაქსა და იმის ქიმიურ თვისებებზე. ლაქი იაპონურად ნიშნავს—ურიუსი-ს: მეცნიერებაში შევიდა ეგრედ წოდებული ურუსის სიმჟავე, ანუ ურისოლი. ფორმოზის კუნძულზე ბევრი კამფორის ხეა. ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორმა შიმოიამამ გამონახა მეთოდები კამფორის რაციონალურად შემზადებისა და ეხლა ეს ნივთიერება იაპონიის ვაჭრობის ძლიერ მოსავებ საგანს შეადგენს. აგრეთვე პროფესორმა ნაგაიმ აღმოაჩინა ახალი წესები ინდიგოს შემზადებისა და იმის წყალობით ეხლა ამ ნივთიერებას იაპონიაშიაც ბევრსა ხმარობენ და უცხოეთშიაც ბევრი გააქვთ.

საზღვაო სამინისტროს ინჟინერმა შიმოზემ გამოიგონა ეგრედ წოდებული იაპონური თოფის წამალი, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობდნენ თვით ფრანგული ჟურნალ-გაზეთები ომის დაწყების დროს. მეორე გამომგონებელმა, მიაზარამ, მოიგონა განსაკუთრებული ორთქლის ქვაბი, რომელსაც ეხლა ხმარობენ ბევრ ხომალდზე.

რაც შეეხება ექიმობას, უცხოეთშიაც ცნობილნი არიან იაპონელი მეცნიერები. დოქტორი კიტასატო*) ცნობილია როგორც საუკეთესო ბაქტერიოლოგი. იმის გამოკვლევებს ევროპაში დიდი ფასი აქვს. ყველამ იცის მის მიერ გამოკვლეული ტეტანოსი და ცხენის ჭირი. კიტასატოს მეორე გამოჩენილ მეცნიერს აოიამას თანამშრომლობით გამოიკვლია აგრეთვე შავი-ჭირი. ექიმმა მიურამ და იამაგიწამ გამოიკვლიეს სნეულებანი „კაკე“ და „ბერიბერი“, რომელიც ხშირად ჩნდება იაპონიაში. ექიმმა შიგამ შეისწავლა მუცელა; იმისი ახალი თეორია ამ სენის შესახებ დიდად მოწონებულ იქმნა გერმანიაში.

პროფ. კოგანეის მშვენიერი გამოკვლევები აქვს კუნძულ იეზოს მცხოვრებ „აინოსთა“ შესახებ და თავისი წვლილი შეიტანა ანტროპოლოგიაში.

ბოტანისტმა ჰირასემ სრულიად ახალი თეორია შექმნა „გინკო-ბილობას“ განაყოფიერების და ემბრიოგენიის შესახებ. ზოგიერთ ევროპიელ მეცნიერის სიტყვით, ეს შრომა მთელ ეპოქას შეადგენს. პროფ. სასსაკიმ სპეციალურად შეისწავლა აბრეშუმის ჭია, აღმოაჩინა მისი განსაკუთრებითი სნეულება და მოიგონა სპეციალური მეთოდი იმის განკურნებისა, აბრეშუმი-კი იაპონიის ვაჭრობის უმთავრესი საგანია. პროფ. მიცუკურიმ და იჯიმამ შეისწავლეს ზღვის კუ და ღრუბლები და ზოოლოგიას ბევრი რამ შემატეს. გამოჩენილი ზოოლოგი ვატასე, იაპონელი, ამერიკაში უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად დანიშნეს და ისე აფასებდნენ, რომ გამოშვებასაც არ უპირებდნენ, როდესაც იგი იაპონიის მთავრობამ სამშობლოში მიიხმო.

გარდა ამისა საინტერესოა შრომები ხუროთმოძღვარ იტოსი, რომელმაც შეისწავლა ძველი ხუროთ-მოძღვრება იაპონიისა, ჩინეთისა და კორეისა. იაპონელი ფილოსოფოსი ინოუე ტეცუჯირო საფრანგეთშიაც ცნობილია, ხოლო არიგას შრომას იხსენიებენ ევროპიელი იურისტნი, მაგალითად—ბონფისი თავის „საერთაშორისო კანონში“.

ასე რომ იაპონია მეცნიერებაში მაინც და მაინც არა ყოფილა ძლიერ ჩამორჩენილი!

ყველა ეს მეცნიერები უმაღლეს სასწავლებლიდან გამოვიდნენ და ურიგო არ იქნება ვიცოდეთ,

---

*) კიოტო ძველი სატახტო ქალაქია იაპონიაში.

*) ამ სახელს ხშირად იხსენიებს გამოჩენილი მეცნიერი მეჩნიკოვი თავის ეხლახან გამოცემულ მშვენიერ წიგნში: „Essais sur la nature humaine. Esquise d'une philosophie optimiste“.

[illegible] ამბავი. ეხლა-ხან ქ. ვილნოში გარდაიცვალა მალიკოვი,

ის მალიკოვი, რომელიც რუსეთში დევნილი იყო და თავის თანამგრძნობებით გადვიდა ამერიკაში, სადაც დააარსა „საქრისტიანო ძმობა“, კომუნა, ქრისტიანობის სწავლაზე დამყარებული. („რუს“ № 304). ტოლსტოიზე ადრე აღმსარებელი ტოლსტოის აზრებისა ნამდვილი წამებული იყო იდეისათვის, წამებული კოსმოპოლიტისმისათვის. მხურვალედ შეიყვარა მოყვასი თვისი, ჰფიქრობდა, რომ მთელი მსოფლიოც შეიყვარა და ეგონა, რომ შორე-ამერიკაშიაც კარგად იგრძნობდა თავს: იქაც ხომ, როგორც რუსეთში, სცხოვრობდნენ მისი მოყვასნი!

— სამშობლოში მდევნიან, ერთი ადგილიდან მეორეზე მაზავნიან, იქ კი თავისუფლად ვიქადაგებ, რაც ღრმად მრწამს.

და მივიდა ეს მხურვალე რაინდი სულისა ამერიკაში და შეუდგა თავისუფლად ქადაგებას. ჯერ ყველაფერი კარგად მიდიოდა. მართლაც, ვინ იტყვის უარს ისეთ სიამოვნებაზე, რომ ხმა მაღლა ლაღადებდე იმას, რაც მხურვალედ გრწამს! მალიკოვიც ხმა მაღლა ქადაგებდა. მაგრამ ერთბაშად...

შემოდგომის ერთ სუსხიან საღამოს, როცა „საქრისტიანო ძმობის“ წევრნი ირგვლივ სტოლს უსხდნენ და ქარის ხმაურობას ყურს უგდებდნენ, მალიკოვის ცოლს ლექსის წაკითხვის სურვილი მოუვიდა; გავიდა შუაგულ ოთახში და გაფითრებულმა მოულოდნელის აღელვებით წარმოსთქვა:

„მიყვარს მე სამშობლო, მაგრამ უცნაურის სიყვარულით; ამ სიყვარულს ვერ მოერევა ჩემი გონება“...

მეტი ვეღარ წაიკითხა: იქ მყოფნი რაღაც უცნაურად შეკრთნენ, თვალებში შეხედეს ლექსის წამკითხველს, საჩქაროდ კუთხეებში მიიმალნენ და ქარის ხმიან კვნესას შეუერთდა მძიმე ქვითინი. სულის რაინდნი ატირდნენ.

მთელი ღამე, მთელი ეს გრძელი ღამე თავისუფალი ქარი თავისუფალ ქვეყნისა აღშფოთებული ეკითხებოდა მათ:

— რასა სტირით? მე ხომ არასდერს გიშლით. ილოცეთ ვინც გინდათ და როგორც გინდათ. იცხოვრეთ ჩემ თავისუფალ სულთქმის ქვეშ. განიჭებთ სრულ თავისუფლებას. მხოლოდ დაივიწყეთ ის! რაში გინდათ ის თქვენი სამშობლო?

მალიკოვი-კი უძილოდ გორავდა საწოლში, ცრემლით იწურებოდა და დაბლა ლაპარაკობდა წამებულის კილოთი:

— არ შემიძლია! გაიგე, რომ არ შემიძლია! რათ მინდა შენი თავისუფლება? ისევ ბორკილი მირჩევნია, ოღონდ იქ! ისევ სახრჩობელა, მაგრამ იქ! გაიგე და მაპატიე; არ შემიძლია ამოვიკლიჯო გულიდან ნაკვერჩხალი ჩემის უსაზღვრო სიყვარულისა მისდამი. მოსწავლე, როგორ მოვიქცე, რომ განვთავისუფლდე ამ საშინელ ძალისაგან! შეხედე ამ ჩემ ნამტირალევ სახეს და მაპატიე, რადგან შესაბრალისი ვარ...

# თეატრი

ქუთაისი. 21 ოქტომბერს დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ოსტროვსკის კომედია „შემოსავლიანი ადგილი“. წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა, მაგრამ საზოგადოების მთელი ყურადღება მიიპყრო გ. მესხიშვილმა იუსოვის როლში. განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში შეუდარებელი იყო. საუცხოვოდ დასურათა არტისტმა უფროსის ყურმოჭრილი მონა-მოხელე, რომელიც უფროსის წინ მუდამ ცერებზე დადის, მუდამ თვალებში შესჩერება, რომ ამოიკითხოს იმისი სურვილი, გულის თქმა; რომელიც უფროსის წინ ხუთადაა მოკეცილი, მოკრუნჩხული; უმცროსებთან კი წელშიაც გამართება, სიმაღლეც ემატება, გამბედაობაც, ამაყობაც და ნამდვილ უფროსის სახე ეძლევა. ქ-ნი ჩხეიძე ჩვეულებრივად კარგად ასრულებდა პოლინა კუკუშკინას როლს. იმის სცენაზე გამოსვლა დაჯილდოვებული იყო ტაშის ცემითა და თაიგულებისა და ქუდების სროლით. ქ-ნს რონელს სწორედ თავის შესაფერი როლი ამოერჩია—ულინკა კუკუშკინასი—და კარგადაც შეასრულა. შვენიერი კუკუშკინა—დედა—იყო ქ-ნი ივანიძე, ნამეტურ მეორე მოქმედებაში. მეოთხე მოქმედებაში კი ქუდმა გაუფუჭა საქმე, რომელიც თავზე არ ამაგრებოდა და ხშირად ჰკიდებდა ხელს. უთუოდ ამის გამო თავისუფლად მოძრაობას ვერ ახერხებდა, ლაპარაკი ძლიერ დაბლა დაიწყო და შემდეგ ვეღარ აუწია ხმა, თუმცა ალაგ-ალაგ მეტი სიკაშკაშე-სიანჩხლის გამოსახატავად ხმის ამოღება საჭირო იყო. კარგად თამაშობდნენ ბ-ნნი გამრეკელი და აწყურელი, პირველი არისტარხ ვიშნევსკისა და მეორე ბელოგუბოვის როლს. ბ-ნი ზარდალიშვილი რიგიანი ჟადოვი იყო მესამე მოქმედებაში—ტრაქტირში—სამაგიეროდ მეოთხე მოქმედებაში მისი სუსტი ტანჯვა თანაგრძნობას ვერ გამოიწვევდა. საზოგადოება წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო.

**დონ ვალიანი**

—

ბაქოში სომხურმა დრამატიულმა დასმა ეხლახან წარმოადგინა თავ. სუმბათაშვილის დრამა „ღალატი“. ბაქოს გაზეთების სიტყვით, წარმოდგენას სამაგალითოდ ჩაუვლია. არტისტები საუცხოვოდ მომზადებულან და პიესის მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე საზოგადოებაზე. განსაკუთრებით კარგად შეუსრულებია ზეინაბის როლი ქ-ნ სირანუშს. რეცენზენტების მოწმობით, ზეინაბის როლი პირველია ნიჭიერ არტისტ ქალის რეპერტუარში.

# რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც ვუწყით, ებრაელებს აკრძალული აქვთ რუსეთის ზოგიერთ ადგილებში ცხოვრება. როგორც მთავრობამ განმარტა ეხლა, რკინის გზის მემანქანე ებრაელებს ყველგან შეუძლიათ ცხოვრება.

◆ პოლონეთში ავსტრიის საზღვართან, ვარშავ-ვენის რკინის გზის სადგურ „გრანიცაში“ დაუჭერიათ 50 კაცი. ყველანი სათადარიგო ჯარის-კაცნი აღმოჩნდნენ, რომელნიც მობილიზაციის წინ გაქცეულან და საზღვარგარედ დაუპირებიათ გადასვლა. თითქმის ყველანი ებრაელები ყოფილან. როგორც „ვარშავ. კურ.“ სწერს, ამით აიხსნება სიმცირე მობილიზაციის დროს გამოცხადებულ ებრაელებისა. რიბინის მაზრაში, მაგალითად, სადაც დიდ-ძალი ებრაელობა სცხოვრობს, გამოცხადდა მხოლოდ 23 ებრაელი, ხოლო დობრიანში, რომელიც ზედ საზღვარზეა,—მხოლოდ ერთი ებრაელი.

◆ 1903 წელს 9 აპრილს კიშინევის ებრაელებთან ერთად აიკლეს მახლობელ სოფლის მერენის ებრაელნიც. ეს საქმე ოდესის სამოსამართლო პალატამ განიხილა 18 ოქტომბერს კიშინევში. ბრალი ედებოდა მხოლოდ ცხრა კაცს. ამათგან პალატამ ოთხი გაამართლა, ხუთი დამნაშავედ იცნო, მაგრამ მანიფესტის ძალით ესენიც სრულიად გაანთავისუფლა სასჯელისაგან.

◆ როგორც „პეტ. ვედომ.“ გადმოგვცემს, ქალაქ ორიოლში ადგილობრივ „ორლ. ვესტ.“-ის ცენზორი ბ-ნი პოპოვი, რომელიც ამავე დროს საქალაქო და საერობო საკრებულოს მდივანიაც არის, გაზეთში შლის თურმე „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს“ დეპეშებს.

◆ „პრავო“ გადმოგვცემს: „11 აგვისტოს გამოცემულ უმაღლესს მანიფესტის ძალით, არხანგელსკის გუბერნიაში 760 პოლიტიკურ დამნაშავიდან განთავისუფლებულ იქნა 60 მცირე-წლოვანი და 75 სრულ წლოვანი დამნაშავე“.

◆ „გრაჟდანინი“ იუწყება: ამ ბოლო დროს ხმა გავრცელდა, ვითომ შინაგან საქმეთა მინისტრად ახლად დანიშნული თავ. სვიატოპოლკ-მირსკი სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო თანამდებობას თავს ანებებდეს. ეს ამბავი, როგორც ნამდვილად გავიგეთ, სიმართლეს მოკლებულია.

◆ როგორც „სარატ. დნევ.“ გადმოგვცემს, სამოსამართლო პალატა შესდგომია ადგილობრივ ტუსაღების საქმის განხილვას. ამ ტუსაღებმა ამას წინად არეულობანი მოახდინეს. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩევა.

◆ 28 სექტემბერს საერობო კრებაზე კინეშმაში ორმა ხმოსანმა წინადადება შეიტანა, შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს მისალოცი დეპეშა გაუგზავნოთ ნდობის გამოცხადებისთვისაო. ამ წინადადების გამო დიდი კამათი გაიმართა. თავად-აზნაურმა ხმოსნებმა ის აზრები გამოსთქვეს, რომ მინისტრს დეპეშას ნუ გაუგზავნით, ხოლო გლეხებმა—გავუგზავნოთო. ბოლოს საქმე ფეხზე ადგომით გადასწყდა: 22 ხმოსანი ფეხზე წამოდგა, 12 თავად-აზნაური იჯდა და მათ შორის მარშალი არ ამდგარან. ამ რიგად, გადასწყდა დეპეშის გაგზავნა. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ არ გაეგზავნათ, რადგან მარშალმა არ მოისურვა. რასაკვირველია, ასეთმა თვითნებობამ ყველანი აღელვა.

# ასბესტი (მიწის ყაჭი) ზემო იმერეთში

მდგომარე წლის „Горный Курналъ“-ის სექტემბრის №-ში (მესამე ტომი 904 წ.) მოთავსებულია სამთა მადნო ინჟინერი ა. გ. ცენტლინის „შენიშვნა“ ასბესტის (მიწის ყაჭის) შესახებ, რომელიც დაუთვალიერებია სოფელს ბჟინევში, შორაპნის მაზრაში.

სოფელი ბჟინევი მდებარეობს პატარა მდინარის ბჟინეულას პირზე, რომელიც მდინარე ძირულას ერთვის მარცხნით და ძირულას რკინის გზის სადგურს აღმოსავლეთის მხარეზე უძევს. ძირულის სადგურიდან მდინარე ძირულს მარჯვენა მხარეზე მისდევს მშვენიერი საქარავნო გზა, რომელიც შუაზე სჭრის დიდს სოფელს შროშას, უბისას, მაქათუბანს, გაშლეკს, ამაშუკეთს, ვეტევიდას, ვეტევი ჭალას, შედის ბჟინევის დაბაში, გადაივლის ხუნევის საზოგადოებას, სეფიენიხევს, რიკოთს (სურამის ქედს) და ხიდის პირ და პირ ჩუმათელეთით დაბა სურამში. ძირულის სადგურიდან სოფელ ბჟინევამდის 27 ვერსია. გზა ზამთარ-ზაფხულ მშვენიერი სასიარულოა, ურმებით და ცხენებით. მეურმეებს და ჩარვადრებს განუწყვეტლივ დააქვთ ამ გზაზე ყოველი ნაწარმოები იმერეთისა და ასაღებენ ქართლში და იქიდან გადმოაქვთ საქონელი და იმერეთში ასაღებენ.

ძირულის სადგურიდან ბჟინევში მეორე გზაც მიდის. ეს გზა გადასჭრის სოფელს დორეშას, უბისას და ამაშუკეთს და შვიდი ვერსით მაინც ამოკლებს მანძილს. მაგრამ ეს მეორე გზა სულ მთა-მთა მიდის და ზამთარში ფრიად შეუძლებელია იმაზედ ურმების და დატვირთული ცხენების ტარება. „პირველი გზაო, ამბობს ინჟინერი ა. გ. ცენტლინი, ადვილად შეიძლება გაფართოვდეს და მოკირწყლოს, მაშინ ხომ ეტლები და ფურგუნებიც სულ ადვილად ივლიანო“.

არ ავწერ აქ სოფლის მდებარეობას და ნიადაგის თვისებას, არც სერების სახელებს ჩამოვთვლი, რადგან ეს ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის არ არის მაინცა და მაინც საინტერესო. ვიტყვი მხოლოდ, რომ სერებს ისეთი მდებარეობა და იმგვარი თვისებები ნიადაგი აქვთ, რომ მიწის ყაჭი ღრმად მიდის დედა-მიწაში და იმის წარმოებისთვის უმდიდრეს ადგილებს წარმოადგენენ. მდინარე ბჟინეულას მარცხენა გვერდზე მიწები იჯარით აუღიათ მიწის ყაჭის გამოსაღებათ აზნაურთ ალ. გრ. წერეთელს და გ. ტ. ჯაულს. აი, ამ ადგილებში აშკარად სჩანს მიწის ყაჭის მდიდარი მადნები, რომლიდანაც თეთრად აბრეშუმის ძაფებივით წვრილი ბეწვები გამოიყურებიან.

ამ ადგილების ჩრდილოეთითაც, ძირს მთის კალთების შეუღლებაზეც სხვა-და-სხვა ფერის და კიდევ მდიდარი მადნებია ასბესტისა, რომლებიც ხესავით ასეთი არიან მაღლა და კაცს მოაგონებენ ეგრედ წოდებულ „მთის ხეს“. მაგრამ ამნაირი ასბესტი ცოტაა. უფრო მომეტებულად ბევრი შეხვდებათ აბრეშუმივით მოყვითალო და სუბუქი ბეწვებიანი ასბესტი. ამნაირი ასბესტი იმდენია, რომ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, აქ უნდა აღმოჩნდეს „მთისსელი“ და „ამიანტი“.

ამ ასბესტის მადნებმა, ამბობს ინჟინერი ცენტლინი, უნდა მიიქციოს დიდი, სერიოზული ყურადღება, მით უფრო, რომ ამ მადნების დამუშავებას ხელს უწყობს გარეშე პირობებიცა, სახელდობრ:

1. მადნების ადგილებს მთელი წლის განმავლობაში ადვილად მიუდგება კაცი და იმუშავებს, და თუ ძირულის ხეობის დაუდგებით რომ ახლა საქარავნო გზა მიდის, ის გაიფართოვეს და შეაკეთეს რიგიანად, მაშინ მუშაობა მთელ ზამთარ-ზაფხულ განუწყვეტლივ განაგებული იქნება, სხვა-და სხვა მატერიალები, მაშინები, ინსტრუმენტები ადვილად ასატანი იქნება და ასბესტის გატანაც უფრო გაადვილდება და გაიაფდება, რასაკვირველია. ახლა-კი ძირულის სადგურიდან სოფელ ბჟინევამდის ერთი ფუთი საქონლის წაღება ჯდება 7—10 კაპეიკი. 2. ძირულის ხეობა ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული ხეობაა მთელს შორაპნის მაზრაში. ამ ადგილის მცხოვრებნი უკვე შეჩვეულნი არიან სამთა მადნო მუშაობას შავი-ქვის მადნებში და დღეში ხელ-ფასად ჯერდებიან 50—60 კაპეიკს. 3. გადატან-გადმოტანა შეიძლება, ადგილობრივ რომ იხმარება იმისთანა ურმებით, იმდენი მადნეულობითა და საჭირო მასალისა, რაც დამუშავებას და წარმოებას მოუნდება და ამ მხრითაც ხომ არავითარი დაბრკოლება არ მოელის ახალს მრეწველობას. 4. მადნების ექსპლოატაცია ისეთივე იქნება, როგორც შავი-ქვის მადნებშია ამ ჟამად განაგებული, ე. ი. პირდაპირ კათხრილ ხვრელებში და მადაროებში იმუშავებენ სულ ადვილად და, მაშასადამე, მუშაობა არ დაჯდება ძვირად და სამთამადნო წარმოება არ იქნება აუტანელი და გამადარიბებელი ხალხისა. 5. სიახლოვე მადნებისა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმთავრეს ლინდგთან ძალიან გაადვილებს და გააიაფებს ასბესტის წარმოებას და ასბესტის დასამუშავებლად საჭირო მაშინების, მეხანიზმების და მატერიალების მოტანაც გაიაფებული იქნება, და 6. გასავალი ასბესტისა, რომელსაც ხმარობენ მრავალ-გვარად და ბევრნაირადაც, ხომ სრულიად უზრუნველყოფილია.

ამ რიგად, ჩვენს ჩამოქვეითებულს საქართველოში ისახება და ჩნდება მეორე წარმოება, შავი-ქვის წარმოების შემდეგ. ეს წარმოება არის ასბესტის (მიწის ყაჭის) წარმოება, რომელსაც, ინჟინერის თქმისა არ იყოს, ხმარობენ თანამედროვე მრეწველობაში მრავალგვარად და ბევრ-ნაირადაც და, მაშასადამე, ბაზარი მისი სრულიად უზრუნველ-ყოფილია. ჩვენ ვიცით, რაც იყო ამ ათის წლის წინად საჩხერეთის არე-მარე. მაგრამ დღეს, მას შემდეგ, რაც იქაურს მიწის გულში უმდიდრესი შავი-ქვის მადნები გამოჩნდა და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლოკომოტივმა იგივლა ჭიათურის და საჩხერის მიდამოებში და დაარსდა შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭო, მთელი ეს მიყრუებული და დამუნჯებული მხარე მთელს ქვეყნიერებას გაეცნო, გაიღვიძა ცხოვრება და წაიწია წინ ადამიანის გამრჯელობამ და ინიციატივობის ნიჭმა. გვჯერა, რომ ძირულის ხეობაზე დაფენილს სოფლებსაც ასეთი სანატრელი მომავალი ექნებათ, თუ მხნე და ფულიანი კაცები მოჰკიდებენ ხელს ასბესტის წარმოების დიდს საქმეს.

**რომანოზ ფანცხავა**

* * *

რა მდგომარეობაშია დღეს სწავლა-განათლება იაპონიაში.

იაპონელმა შემდეგი გზა უნდა გაიაროს, უნივერსიტეტის კარებამდის რომ მიაღწიოს 6 წლის პატარა იაპონელი შედის პირველ-დასაწყისს სკოლაში, სადაც სწავლა ოთხ წელიწადს გრძელდება და ყველასათვის სავალდებულოა. ამ სკოლის გათავების შემდეგ იგი მეორე, უმაღლეს, პირველ-დასაწყის სკოლაში გადადის, სადაც სწავლა აგრეთვე ოთხ წელიწადს გრძელდება. თუ ამ სკოლაში დაჰყო სამი ან ორი წელიწადი, ეძლევა უფლება ლიცეუმში ეგზამენის დაჭერისა. იაპონიაში ეხლა 150-ზედ მეტი ლიცეაა. ლიცეუმში სწავლა გრძელდება 5 წელიწადს. ამ სკოლაში იწყებენ ერთ რომელიმე ახალ ენას, თითქმის ყოველთვის ინგლისურს. მხოლოდ ორ ლიცეუმში ასწავლიან გერმანულს და ფრანგულს-კი—არც ერთში არ ასწავლიან. ლიცეის გათავების შემდეგ იაპონელი შედის უმაღლეს ლიცეუმში, სადაც უნივერსიტეტისათვის ემზადება. აქ იგი ირჩევს ფაკულტეტს. ამ უმაღლეს ლიცეუმში 3 სექციაა: 1. სექცია იურიდიულ და ლიტერატურულ ფაკულტეტების კანდიდატთათვის; 2. ბუნების-მეტყველების, ინჟინრებისა და აგრონომიის კანდიდატთათვის; 3. საექიმო ფაკულტეტის კანდიდატთათვის. ასეთი ლიცეუმი იაპონიაში რვაა, სწავლობს იქ 6,000, ადგილი-კი 2,000-ია, ასე რომ შესვლა ძლიერ ძნელია. საჭიროა ახალ უმაღლესი ლიცეუმების დაარსება. სწავლა ამ ლიცეუმებში 3 წელიწადს გრძელდება. აქ იწყებენ მეორე რომელსამე ენას: ფრანგულს ან გერმანულს. ამ ლიცეის გათავების შემდეგ იაპონელი უნივერსიტეტში შედის უეგზამენოდ, თუ ბევრი მთხოვნელი არ არის.

იაპონიაში ორი ინივერსიტეტია. პირველი დაარსდა ტოკიოში 1876 წელს, მეორე კიოტოში 1897 წელს.

ტოკიოს უნივერსიტეტი შეიცავს: „დაი გაკუინს“, ანუ თვით უნივერსიტეტს, და 6 ფაკულტეტს: იურიდიულს, ლიტერატურულს, საბუნების-მეტყველოს, საინჟინროს, საექიმოს და საგრონომიოს. თვითოეულ ფაკულტეტს აქვს თავისი ინსტიტუტები:

1. იურიდიული ფაკულტეტი. სწავლა 4 წელიწადს არის. ინსტიტუტები: იურისპრუდენციისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა. 2. სამკურნალო ფაკულტეტი. სწავლა 4 წელიწადს. ინსტიტუტები: მედიცინისა და ფარმაციისა. 3. საინჟინრო ფაკულტეტი. სწავლა 4 წელიწადს. ინსტიტუტები: ხიდთა, გზათა, პრაქტიკულ მექანიკისა, საზღვაოსნო ინჟინრობისა, ცეცხლის იარაღისა, ელექტრონის პრაქტიკულ გამოყენებისა, ხუროთ-მოძღვრებისა, პრაქტიკულ ქიმიისა, თოფის წამლისა, სამთო-სამადნო. 4. ლიტერატურის ფაკულტეტი, სწავლა 3 წელიწადს. ინსტიტუტები: ფილოსოფიისა, იაპონიის ლიტერატურისა, ჩინურ ლიტერატურისა, ფრანგულ ლიტერატურისა, გერმანულ ლიტერატურისა, ინგლისურ ლიტერატურისა, იაპონიის ისტორიისა, საზოგადო ისტორიისა და ფილოლოგიისა. 5. საბუნების მეტყველო ფაკულტეტი. სწავლა 3 წელიწადს. ინსტიტუტები: მათემატიკისა, ასტრონომიისა, ფიზიკისა, ქიმიისა, ზოოლოგიისა, ბოტანიკისა და მინერალოგიისა. 6. აგრონომიის ფაკულტეტი. სწავლა 3 წელიწადს. ინსტიტუტები: მეურნეობისა, და სამეურნეო ქიმიისა, სატყეო და საბეითალო.

ფაკულტეტის გათავების შემდეგ სტუდენტს ეძლევა „გაკუში“ ხარისხი. ამგვარად, ზოგი „ჰოგაკუში“ ხდება (ჰო ნიშნავს უფლებას), ზოგი „იგაკუში“ (ი ნიშნავს ექიმს) და სხვ. შემდეგ სტუდენტი შედის „დაიგაკუინში“, ე. ი. თვით უნივერსიტეტში, სადაც სპეციალური კურსები არ არის, არამედ სტუდენტს შეუძლიან თავისი საგანი შეისწავლოს უფრო ვრცლად და სპეციალურად. ხუთის წლის შემდეგ იგი წარადგენს დისერტაციას და ამ დისერტაციის მიხედვით საერო განათლების სამინისტრო აძლევს „ჰაკუში“ ხარისხს. ამგვარად იურისტები ხდებიან „ჰოგაკუჰაკუში“-ებად, ექიმები „იგაკუჰაკუში“-ებად და სხვ. სტუდენტს შეუძლია ხარისხის მიღება უნივერსიტეტში შეუსვლელადაც, თუ ფაკულტეტის გათავების შემდეგ დისერტაციას წარადგენს და უნივერსიტეტის საბჭო მოიწონებს ამ დისერტაციას.

უნივერსიტეტში კურს დამთავრებულთა რიცხვი იაპონიაში ეხლა 5,000-მდეა. პირველად სწავლა გაათავეს 1878 წელს. ამათში ზოგ სხვა-და-სხვა ადგილებს უჭერავს იაპონიაში, ზოგი-კი გაგზავნილ იქნა ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტში სწავლის შესავსებად. სწორედ ამათ დაიჭირეს უცხოელ პროფესორთა კათედრები იაპონიაში დაბრუნების შემდეგ.

ტოკიოს უნივერსიტეტში 1903—904 წლ. იყო 3,500 სტუდენტი. ამ უნივერსიტეტს აქვს ერთი დიდი ბიბლიოთეკა 500,000 წიგნით, ერთი საავადმყოფო, ერთი სასტრონომიო ობსერვატორია, საბოტანიკო ბაღი, საზღვაო საზოოლოგიო სადგური და ერთი დიდი ტყე. პროფესორთა და ძველ მოწაფეთა ნაშრომები ფაკულტეტების ანგარიშებშია მოთავსებული. დღემდის აი რამდენი ტომი გამოიცა სამეცნიერო თხზულებებისა: 5 ტომი სამკურნალო ფაკულტეტმა გამოსცა, 3 ტომი—სალიტერატურო ფაკულტეტმა, 3 ტომი საინჟინრო ფაკულტეტმა, 17 ტომი—საბუნების-მეტყველო ფაკულტეტმა, 5 ტომი—საგრონომიო ფაკულტეტმა.

კიოტოს საიმპერატორო უნივერსიტეტი დაარსდა 1897 წელს. იგი შეიცავს „დაიგაკუინს“ და 3 ფაკულტეტს ამ ინსტიტუტებით:

1. იურიდიული ფაკულტეტი. სწავლა 3 წელიწადს. ინსტიტუტები: იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებისა.

2. სამკურნალო ფაკულტეტი, სწავლა 4 წელიწადს. ინსტიტუტი ერთია—სამკურნალო; 3. საბუნების-მეტყველო ფაკულტეტი. სწავლა 3 წელიწადს. ინსტიტუტები: მათემატიკისა, ფიზიკისა, თეორიულ ქიმიისა, პრაქტიკულ ქიმიისა, ხიდთა და გზათა, პრაქტიკულ მექანიკისა, ელექტრონის პრაქტ. გამოყენებისა და სამთო მადნო. მალე გახსნიან სალიტერატურო ფაკულტეტსაც. კიოტოს უნივერსიტეტი იმავე ხარისხებს იძლევა, როგორსაც ტოკიოს უნივერსიტეტი. კიოტოს უნივერსიტეტში ჯერ-ჯერობით მარტო 200 ძველი მოწაფეა, სტუდენტი კი 700, რადგან ჯერ ინსტიტუტები ცოტაა. ბიბლიოთეკა მდიდარია ძველ იაპონურ წიგნებით. კიოტო 1868 წლამდე დედა-ქალაქი იყო იაპონიისა. ფაკულტეტები მალე შეუდგებიან ბიულეტენების გამოცემას, როგორც ტოკიოში.

გარდა ამ ორ უნივერსიტეტისა იაპონიაში ბევრა სხვა სპეციალური და უმაღლესი სასწავლებელია: სამხედრო სკოლა, უმაღლესი სამხედრო სკოლა, საზღვაოსნო სკოლა, უმაღლესი საზღვაოსნო სკოლა, ორი უმაღლესი სავაჭრო სასწავლებელი, ოთხი უმაღლესი სატეხნიკო სასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებელი ხელოვნებისა, უცხოელ ენების სასწავლებელი, ორი უმაღლესი ნორმალური სკოლა, უმაღლესი ნორმალური დედათა სკოლა. ბევრია აგრეთვე დედათა უმაღლესი სკოლა: ნორმალური, სატეხნიკო და სხვა.

იაპონელ პროფესორს ორნაირი ჯამაგირი აქვს: ერთი სამსახურისათვის და მეორე კათედრისათვის. სამსახურის ჯამაგირი იმათაც კი ეძლევათ, ვინც ლექციებს არც კი კითხულობს; იგი უდრის 800—1,600 იენს წელიწადში (თითქმის მანეთია). რამდენისამე წლის სამსახურის შემდეგ ემატებათ 500 იენამდე. კათედრის ჯამაგირი უდრის 600—1,200 იენს, ლექციების მიხედვით. მაშასადამე, საშუალო ჯამაგირი იაპონელ პროფესორისა უდრის 1,400 იენს წელიწადში. თუ ერთი კათედრა უჭირავს. ევროპიელ პროფესორს ეს ჯამაგირი ცოტად ეჩვენება, რასაკვირველია, მაგრამ პარიზში ცხოვრება გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე ტოკიოში, ასე რომ იაპონელი პროფესორი და ევროპიელი თითქმის ერთნაირად არიან დაჯილდოვებულნი.

აი, ასეთ საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს კიოტოს პროფესორი მივა იაპონელთა სწავლა-განათლების და მეცნიერების შესახებ. ეს მსწრაფლი განვითარება იაპონელებისა იმას ამტკიცებს, როგორც უკვე ვსთქვით, რომ მეცნიერება, როგორც ვაჭრობა მრეწველობასაც, საზღვრები და რასა არა სწამს. მართლაც და მოდი და ყველა ზემოდ ნათქვამის შემდეგ იაპონელებს „აზიელი“ ხალხი უწოდე, აღმოსავლეთის სიზარმაცე დასწამე! ჩვენ, ქართველებს, თუმცა მონგოლები არა ვართ და საუკეთესო „რასადაც“ ვითვლებით მთელ დედამიწაზე, თუმცა მხოლოდ ნახევრადა ვართ აზიელები, მაგრამ რა შევმატეთ მეცნიერებას, სადა გვყავს ჩვენი კაპასიტეტები? მეცნიერებას ჯანი გავარდეს, სხვაფრივაც უხეიროები ვართ: თუ უცხო ენებს არა ვსწავლობთ იაპონელებსავით, ეს კიდევ დიდი ცოდვა და უბედურება არ არის; მაგრამ ჩვენ იშვიათად გვინახავს ქართველი ახალგაზრდა,—ძველი თაობისა რა მოგახსენოთ,—რომ იმას რომელსამე ენაზედ შესძლებოდეს თავისი აზრის ნათლად გამოხატვა: ან რუსულად, ან ქართულად, ან ფრანგულად! ეხლა რა მოგახსენოთ, და ამ ხუთიოდე წლის წინად-კი ქუთაისის „ბულვარში“, მაგალითად, ჩვენი „ინტელიგენტი“ ახალგაზრდობა იმისთანა განსაცვიფრებელ და არა ჩვეულებრივ სლოვიანურ-ალაროდიულ ჟარგონს ლაპარაკობდა, რომ რომელიმე ლინგვისტს ძლიერ დააინტერესებდა, ყური რომ მოეკრა... სწავლა-მეცნიერებისა და ენის განვითარებასაც ხომ განსაკუთრებული პირობები უნდა და ამასთან მხნეობა და მუყაითობა, ჩვენ კი არც ერთი გვაქვს და არც მეორე... მაგრამ ვინ იცის, იქნება მეორე იმიტომ არ არის, რომ პირველი გვაკლია. ამით მაინც ვინუგეშოთ თავი.

ჟენევა.

**მ. სანგალა.**

# ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

25 ოქტომბერი

**მუკდენი, 23 ოქტომბერი („რეიტერი").** ორივე არმია ისე ახლოსაა ერთმანეთზე, რომ ჯარების სამანევრო მოძრაობა შეუძლებელია. იაპონელებს მხოლოდ ღამ-ღამობით მიაქვთ იერიში რუსებზე. რუსების რაზმები იაპონელთა მიერ დაჭერილ სოფლებში შედიან და შიშის ზარსა სცემენ მტერს. ერთხელ რუსებმა მოახერხეს და ხელით სატარებელი ყუმბარა შეაგდეს იმ სახლში, სადაც იაპონელი აფიცრები იდგნენ. რუსის მთავარ სადგომს და იაპონელთა უმთავრეს ჯარს უჭირავთ პოზიციები ვაკეზე, ერთმანეთის პირდაპირ. ხუნპოს მთა იაპონელებს უჭირავთ, სოსხემის მთა კი—რუსებს. მტერი ისე ახლოს არის, რომ საზარელი სისხლის ღვრაა მოსალოდნელი. რუსებსა და იაპონელებს უჭირავთ სოფელ ლინშინპუს სხვა-და-სხვა ნაწილები. 20 ოქტომბერს მუკდენს მოვიდნენ ფინშიაპუდან (ტოშანის ახლოსაა) ქალები და ბავშვები. ჯარის უდიდესი ნაწილი მიწურებში დგას, რომლებიც დიდ მანძილზე არიან გაჭიმულნი და აშკარად მოწმობენ, რომ იქ მყოფი ჯარი ადვილად არ დაიწევს უკან მტრის წინაშე. სალდათები მამაცად ითმენენ ყოველნაირ გაჭირვებას.

**ლონდონი.** რუსის აღმოსავლეთ არმიაში მყოფი „რეიტერ"-ის კორესპონდენტი იუწყება 24 ოქტომბერს, რომ ამ ბოლო დღეებში არმია სრულებით არ უმოქმედნია. დღეს თოვლი მოვიდა. დიდი მზადებაა მუკდენში ზამთარში იქ ჯარების დასაყენებლად.—კუროკის არმიასთან მყოფ „რეიტერ"-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ გასულ კვირაში ცივი დარი და ქარიშხალი იყო, სეტყვა და თოვლი მოდიოდა. მიწა გაიყინა. სალდათები იშვიათად ანთებენ ცეცხლს, რათა რუსებმა ყუმბარები არ დაუშინონ. იქ, სადაც ჩინელთა სახლების საკმაო რიცხვი არ არის, იაპონელები მოხერხებულად კარვებს აკეთებენ. ჯარს ქურქებს ურიგებენ. არმიაში ცვლილება არ მომხდარა.

**ტიანძინი. 25 ოქტომბერი („რეიტერი").** ტელინიდან ამბავი მოვიდა, რუსებს ყოველ დღე მაშველი ჯარი მოსდითო.

**ჩიფუ. („ვოლფი").** ვლადივასტოკიდან მოვიდა გემი „ტუნგუზ"-ი. კაპიტანი 19 ოქტომბერს გამოვიდა ვლადივოსტოკიდან და ამბობს, ციხე კარგადაა გამაგრებულიო. სიმაგრეები ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე იწყება. ყოველ დღე მოდიან აქ გემები სურსათით, სამხედრო მასალითა და ზარბაზნებით. ევროპიელები ვლადივასტოკიდან წასვლას არ აპირებენ. თუ იაპონელები ქალაქს ალყას შემოარტყამენ, მეორე პორტ-არტურს წააწყდებიან. ტრანსპორტები ყოველ დღე მიდი-მოდიან. ახლომახლო მღვიმე მადაროებიდან მრავალი ქვანახშირია მოტანილი.

**ალჟირი, 24 ოქტომბერი („რეიტ. სააგ.").** კრეისერი „სვეტლანა" მოვიდა და მალე ისევ გზას გაუდგა. ესკადრა აღმოსავლეთისკენ წავიდა.

**ტუნისი, („რეიტ. სააგ.").** რუსეთის სამი ნაღმიანი გემების გამანადგურებელი მოვიდა.

**ტანჟერი, („რეიტ. სააგ.").** ბალტიის ესკადრის გემები მადაგარისაკენ წავიდნენ. სადაც სურსათსა და ნახშირს მიიღებენ. ესკადრა მარტო საფრანგეთის ნავთსადგურებში შეივლის. ესკადრის მახლობელი სადგური იქნება დაკარი (სენეგამბიაში). საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობებმა გამოაცხადეს, რომ ბალტიის ესკადრას ამ სახელმწიფოების ნავთსადგურებში 24 საათზე მეტი გაჩერების ნება არ ექნებაო. მაგრამ მაინც უეჭველია, რომ, თუ გემებს ქვაბები გაუფუჭდათ, ნავი სადგურებში მეტ ხანს გაჩერდებიან. ინგლისის საადმირალომ გამოაცხადა, რომ ინგლისის გემებს, რომელზედაც უმავთულო ტელეგრაფის მოწყობილობა არსებობს, ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრასთან კავშირი ჰქონდეთ. ამ რიგად რუსეთის მთავრობას შეუძლიან, თუ საჭირო იქნება, გაიგოს მოხსენებანი და განცხადებანი ბალტიის ესკადრის იმ აფიცრებისა, რომელნიც ევროპაში დარჩნენ.

**პეტროპავლოვსკი, 25 ოქტომბერი.** პეტერბურგისკენ გენერალ ადიუტანტმა ალექსეევმა გაიარა.

**იაკუტსკი.** აქაურმა ცხოვრებლებმა იაპონელებს აქედან დამარილებულ თევზის გატანის ნება არ მისცეს. აქამდის აქაურ წყლებიდან ყოველ წლივ იაპონელებს სამას ნავით გაჰქონდათ თევზი, ეხლა-კი ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ იაპონელებს სურსათი აკლიათ. თუ იაპონელებმა ბლომად თევზი არ შეინახეს, უეჭველია, ამ ხალხს დიდი შიმშილი მოელის.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

25 ოქტომბერი

**მუკდენი, 23 ოქტომბერი.** თბილ ამინდების შემდეგ აცივდა, ღამე ყინვებია. დილით ძალზე ცივი ქარი უბერავს, მშრალ გზებზე და გათელილ მინდვრებში დიდი მტვერია. შუადღისას დაიწყო თოვლის ქარბუქი. დიდი შეტაკება არ მომხდარა. ღამე სიწყნარე იყო. დილით და დღისით დროგამოშვებით ისმოდა ზარბაზნების სროლის ხმა.

**ხუანშანი, 24 ოქტომბერი.** უკანასკნელ ცხარე ბრძოლის შემდეგ, რუსეთისა და იაპონიის ჯარი ძლიერ გამაგრდა დაჭერილ პოზიციებზე. ჩვენი ჯარი მდინარე შახეს ჩრდილოეთ ნაპირის გაყოლებაზეა. აქა-იქ, მაგალითად—სახეპუსა და პუტილოვის სოპკაზე, მდინარის სამხრეთ ნაპირზედაც გვიჭირავს პოზიციები. მდ. შახემ ძალიან იკლო. ჩვენი ჯარი ყველგან ახლოა იაპონიის ჯარზე. ზოგგან მანძილი ორ ჯარს შუა სულ რამდენიმე ასი ნაბიჯია. ჩრდილოეთი ნაწილი სოფელ ლინჩიპუსი ჩვენ გვიჭირავს, სამხრეთი ნაწილი—იაპონელებს. ეს სოფელი რკინის გზის დასავლეთით მდებარეობს. მოწინააღმდეგენი ისე მაგრდებიან, რომ ომს ციხის ომის ხასიათი ეძლევა. სიცივეები დაიჭირა. რადგან სადგომები ცოტაა და ჩინელთა სახლებიც ნახევრად დაქცეულია, სალდათები ზოგგან ერთის არშინის სიღრმეზე ორმოებსა სთხრიან და მიწურებს აკეთებენ. ნაპირებზე სდებენ ხეებს და ზევიდან ჭილობს აფარებენ. ძირს აგებენ მაგარ და გძელ გაოლიანს. ხან-და-ხან მიწის ფეჩსაც აკეთებენ. მიწურებში თბილა, თუმცა ღამ-ღამე ყინვებია. იაპონელები თავიანთ კარვებს გაოლიანით ხურავენ. დღეს მოწმენდილი დღეა, ღამ-ღამეობით ცივა. დილით ისმოდა ზარბაზნების გრიალი. ხმა მოდიოდა უფრო ჩვენ მარცხენა ფრთიდან.

**ალჟირი, 24 ოქტომბერი.** ალჟირის პირდაპირ გამოჩნდა რუსის ორი ჯავშნიანი გემი. ამ გემებს აღმოსავლეთისკენ ეჭირათ გზა.

**ტიანძინი, 22 ოქტომბერი.** „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: ტელინიდან მიღებულ ცნობებით, რუსებს ეგონათ, რომ იაპონელები გუშინ მეორედ მიიტანდნენ იერიშს მუკდენზე. რუსებს იმედი აქვთ, რომ მუკდენში ერთ თვეს კიდევ გამაგრდებიან, შემდეგ ჰფიქრობენ ჩრდილოეთისკენ დახევას და ოპერაციების ტელინში განგრძობას. რადგან ბლომად არიან ჩინელი ჯაშუშები, გენერალმა კუროპატკინმა ბრძანება გასცა, დახვრიტონ ყველა ჩინელი, რომელიც თავს არ გაიმართლებს და რუსის ჯარში ყოფნის საკმაო საბუთს არ დაასახელებს. რუსებს ყოველ დღე ახალ-ახალი ჯარი ემატებათ.

**კაონანძი, 24 ოქტომბერი.** ამ ბოლო დროს იაპონიის ჯარს დიდ ძალი ტრანსპორტი მოსდის.

**კაოპანძი. 24 ოქტომბერი.** „დეილი ტელეგრაფ"-ს ატყობინებენ, რომ ჩინეთის რკინის გზები არ ღებულობენ გადასატანად საქონელს, რომელიც 3 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტს ფასობს. ჩინეთის საბაჟო აღარ აძლევს ნებას შეიტანოს მანჯურიაში უცხოელ მცხოვრებთათვის სურსათი და ღვინო. საბაჟომ გამოაცხადა, მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთ სინმინტინიდანა და ინკოუდან გამოგზავნილს საკონტრაბანდო საქონელს, რომელიც უნდა მიტანილ იქნას მანჯურიაში რკინის გზის ერთ ერთ სადგურზე ან დიდ კედელს იქით, თუ გამგზავნელნი საკმაო საბუთებს წარმოადგენენ, რომ ეს საქონელი ჩინელებისათვისაა დანიშნულიო.

**შანხაი, 24 ოქტომბერი** „მორნინგ პოსტ-"ი იუწყება, რომ გუშინ ღამ აქ მოვიდნენ „რეშიტელნი-"ს მეზღვაურები. ამ მეზღვაურებს რუსის სხვა გემების მეზღვაურებთან ერთად გააჩერებენ ომის დასრულებამდის.

**ტუნისი, 24 ოქტომბერი.** „დეილი მეილ-"ის სიტყვით, აქ მოვიდა რუსის ცხრო ნაღმიანი გემი, რომელსაც ხალხი დიდის ალტაცებით დაუხვდა. ამ გემებზე ეხლა ქვანახშირს ტვირთავენ.

**პეტერბურგი.** გენერალი სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს: „22 ოქტომბერს პოდპორუჩიკის ვორონტნიკოვის უფროსობით მოხალისეები იაპონელთა თხრილებს იქით—ხუატხაის სიმაღლეს წინ გავიდნენ და მთელ დღეს სროლა ჰქონდათ მტერთან, რომელიც მთის ძირას თხრილებში იყო. 22 ოქტომბერს სოფელ გუანტუნის სამხრეთით ერთის ვერსის სიშორეზე უსახელო სოფელთან რამდენიმე ზარბაზანი დავდგით და ვესროდით სოფელ იუდეილაძსა, რომელიც სახეპუს სამხრეთით ერთის ვერსის სიშორეზე მდებარეობს და მტრის სიმაგრეებს, რომელნიც ხოუტხაის სიმაღლეზე იყვნენ გაკეთებულნი. სოფლებს საალყე ზარბაზნებსაც ვესროდით. კარგად მოწყობილ თვალ-ყურის დგებისა, მორტირების მსწრაფლ-მსროლელ და საალყე ზარბაზნების შეერთებულის ძალის მეოხებით მალე გავიგეთ მანძილი, რის გამოც სოფელი იუდეილაძი დავსწვით და სიმაგრეების ბლინდაჟები დავანგრიეთ. მორტირებისა და ზარბაზნების შრაპნელმა ზარალი მიაყენა მტერს, რომელსაც საფარი არ ჰქონდა. შუადღემდის გვესროდა მტრის ორი ბატარეია, შუადღის შემდეგ ხუთი. დაღამებამდის მტერმა ვერ აღმოაჩინა ჩვენი კარგად დამალული ბატარეია, 10.000-მდე ყუმბარა და შრაპნელი გვესროლა და ვერავითარი ზარალი ვერ მისცა ვერ მოქმედსა და ვერც მარქაფა ჯარსა. მტრის ხშირს სროლას ჩვენ პასუხად ვესროლეთ 4 მორტირის შრაპნელი და მსწრაფლ მსროლელ ზარბაზნის 90 ყუმბარა. 23 ოქტომბერს ღამე პუტილოვის გორასთან მდგომ რაზმიდან მტრის შეუწუხებლად გავგზავნეთ სამორტირო ბატარეის ერთი ვზვოდი მოხალისეთა, რომელიც მტრის მიერ დაჭერილ სოფელს ყუმბარებს ესროდა და მთელ ფრონტზე მტრის მოწინავე რაზმებს აწუხებდა. მოხალისეებმა სოფელ შულინძაში ცეცხლი გააჩინეს და ერთი ჩინელის სახლი დასწვეს. მტერთან შეტაკების შესახებ დღეს არავითარი ცნობა არ მოგვსვლია."

**ჩიფუ, 25 ოქტომბერი.** ამბავი მოვიდა, რომ ლაოტეშანის ახლო რუსების რამდენიმე ნაღმიანი გემი გამოჩნდაო. პორტ-არტურში მაინც აერხებენ ჯონკებით სურსათის ზიდვას.—იაპონიიდან და კორეიდან კიდევ ეზიდებიან ჯარებს დალნისაკენ; აგრეთვე ეზიდებიან ჩრდილოეთიდან დალნისაკენ ყოველ დღე 500 დაჭრილ მეომარს.

**ბერლინი, 25 ოქტომბერი.** მუკდენიდან გედკე დეპეშით იტყობინება, რომ პარასკევს ღამეს ზარბაზნების გრიალი ისმოდა, მაგრამ აქედან ბევრი არა გამომდნარა რა.—გაზეთ „ბერლინ. ტაგებლატ"-ს დეპეშით ატყობინებენ ლას-პალმასიდან, რომ ინგლისისა და გერმანიის ნახშირის გემები ნავთსადგურიდან გავიდნენო. ზღვაში გავიდა ინგლისის კრეისერი „აურორა".

**ტუნისი, 25 ოქტ.** კონტრ-ნაღმიანი გემები „ბეზუპრეჩნი", „ბრავი" და „ბურნი" ზღვაში გავიდნენ და აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

24 ოქტომბერი

**ჰელსინგფორსი, 24 ოქტომბერი.** მოვიდა გენერალ-გუბერნატორი.

**ვენა, 2. ოქტომბერი.** გერმანიის მთავრობის წარმომადგენელნი მოვიდნენ აქ სავაჭრო ხელშეკრულებაზე მოსალაპარაკებლად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

# გამოსადეგი ცნობანი

### პეტერბურგის ბირჟა, 19 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ლონდონისაზ 10 გირვ. სტ. | 93,65 |
| ბერლინისაზ 100 მარკაში | 45,85 |
| პარიზისაზე 100 ფრანკში | 94,30 |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,30 |
| ბერლინისაზ „ | 46,30 |
| პარიზისაზე „ | 37,55 |
| ბირჟის დისკონტი | 6-7 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91 7/8 გაყ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | — |
| 4 1/2 % შინაგანი სესხი 1903 წ. | — |
| 4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. | 89 |
| 5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. | 416 |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 319 1/2 |
| 5% გირაომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ. | 266 1/2 |
| 5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. | — |
| 4 1/2 % ოლ. იმავე საზოგად. | — |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. | — |
| 5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ | 89 1/2 |
| 4 1/2 % გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. | — |
| 6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა. | — |
| 5% გირან. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 246 „ |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ღამის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერივანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს.(10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერივან-ყარსიდან:** 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

# სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

**ტფილისში:**

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ საღამ. 5—8 „

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, ყოფილი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი.**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტერიანისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქ-მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლებში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი პოლიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი

## პ. ი. ავსარქისოვის

სანგრძე ყიდის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და კავკასიის ჯიშის ხეხილს. ადრესი **ხად. სკრა** (ამიერ კავ. რკინ. გზა). **ავსარქისოვს.** დაწვრილებითი კატალოგები და პრეისკურანტები რუსულად და ქართულადა უფასოთ ეგზავნებათ. (10—301—7)

**ქუთაისში** ფრანგების ქუჩაზე, საეკლესიო სახლებში 15 ოქტომბრიდან გაიხსნა საუკეთესო **რესტორანი,** რეოთახით სტუმრებისთვის, საუკეთესო სამზარეულოთი ყოველ გვარი საჭმელებით.

აქვე შეიძლება ცხენების დაბმა, რისთვისაც მომზადებულია კარგათ მოწყობილი თავლა. (4—6.—2)

## СѢДЕЛЬН, СПЕЦІАЛЬН.

Т.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—)

**ახალი გახსნილი**

სასტუმრო **არკადია** ნომრები

(ყოფილი „იალტა")

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქროს მედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. ქასმელებოთ და ყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ვაძლევთ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—62)

## ისყიდება

გამართული საწვრიმალო დუქანი მე-2 ნაწ. თხინვალის შესახვევი, სახლი ამბუკაძისა № 51. (1—359—1)

**საუკეთესოდ მოწყობილი**

**ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა**

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

**ბროლის ვარდის ფერი**

## საპონი

№ 4711

შეიცავს ბევრ გლიცერინს.

დიდი ეკონომია, რადგან ბევრი ქაფი იცის.

**ნაზი სურნელებ ვარდისა,—** აი თვისება, რომლითაც ეს საპონი დიდად განირჩევა.

## ფერდ. მიულჰენსი,

სამრეკლოსა № 4711 კედნსა და რიგაში.

(6—მც.—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

## კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ზოგმა ბაზანასი | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელი, მოთხრობა—შედანისა | — | 2 |
| ალ. ყაზბეგის I, ტომი | 1 | 50 |
| II და III ტომი თითო | 1 | — |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 6 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ | — | 80 |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა | — | 1 |
| სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 6 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—ბოტტოსი | — | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 5 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| ღვინის დაყენება, შროფეს. გ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე, მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა | — | 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 2 |
| ხენთო რაფთისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჭანკულოვისა | 1 | — |

გამოვიდა და იყიდება

## ეგნატე ნინოშვილის

(ინგოროყვა) სრული თხზულება.

წიგნში მოთავსებულია ჯერ არსად დაბეჭდილი ისტორიული რომანი **„ხამუშხარო შიდეგი"**, 16 სხვა-და-სხვა მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები, ვრცელი კრიტიკული განხილვა **ივანე გომართელისა**, მოკლე ბიოგრაფია, დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვები და სხვა-და-სხვა წერილები ეგ. ნინოშვილის შესახებ და ავტორის სურათით.

მსურველთ შეუძლიან მიმართონ წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში. (10—6—6)

Дозволено цензурою, 25 октября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ბა".

Электроп. „Груз. Изд. Т—ва".